

K 20847  
1



573688

821.353.1-2



გამოცემა „თეატრი და ცხოვრება“-ის № 1  
(იოსებ იმედაშვილისა)

8552

✓ 899.902.1-2  
8552

ს. ელახაშვილი (ცხოველი, სოფიონ)

# ფურცელი

ღრამა სამ მოქმედებად, ოთხ სურათათ

19126

8430

20845



Г. П. Б.  
Читальный  
зал

ბათუმის სახალხო ბიბლიოთეკის  
№ \_\_\_\_\_  
\* AKAKI TSERETELI BATUMI PUBLIC LIBRARY \*

ახ. 8-765

თბილისი 1910


1957. განყოფ. „პროგრესისა“, ღვორც. ქ., სახ. ს.-აზ. ბანკ.

Настоящая пьеса, подъ заглавиємъ „Жаж-  
да“, соч. С. Глахашвили, разрѣшена Намѣст-  
никомъ ЕГОИМПЕРАТОРСКАГО ВЕЛИЧЕСТВА  
на Кавказѣ для представленія на сценахъ края  
(Отзвъвъ Канцеляріи за № 24225—909 18 Ноя-  
бря 1909 года, Гор. Тифлисъ).

*И. д. Предсѣдателя Комитета* В. Колобовъ  
*Секретарь* А. Гусевъ



ს. გლახაშვილი



# ფეშრვილი

დრამა 3 მოქ. 4 სურ.

მოქმედება პირველი

I სურათი

მოქმედნი:

პეტრია, გლეხი

მინა

ნინა პეტ. შვილები

ანდრია

ბებია,

მამა ილია, | ღვარი

ექიმი სოფლისა

გოგია დანიშ. ნინასი

სცენა: სოფლის მიწური დარბაზი. შუაში ჩამოშვებულ ჯაჭვზე ჰკიდია ქვაბი, ამის ქვეშ სიქვები ჰბოლავენ, მარჯვნივ ტახტზე წვანან: ანდრია და ნინა, ციებ-ცხელებით შეპყრობილნი. გვერდით კერასთან ზის ბებია და ფანდურზე დამღერის.

I

ბებია, ანდრია, ნინო

ბებია (ფანდურზე დამღერს)...

იავ, ნანა, ვარდო, ნანა,

იავ, ნანინაო;

გაივსე და გაიზარდე,

ვარდო, ნანინაო.

ნუ შედრკები, ციებაა,  
 შაშვო, ნანინაო;  
 რასა კრთები, ცხელებაა,  
 გვრიტო, ნანინაო,  
 ნატრული ხარ შზის სხივისა?  
 იავ, ნანინაო,  
 წყურვილი გაქვს წყაროს წყლისა?  
 ვარლო, ნანინაო...

**ანდრია** (შემდეგ უსიტყვო ერთ ნახსნ სიმდე-  
 რისა, გამოიდვიძებს ტუჩების სველებითა) ბებია!  
 პირი მიშრება, წყალი...

**ბებია** (მიაწოდებს ჰატარა ჯამით) აჰა, გე-  
 ნაცვალე...

**ანდრია** (რა მოსვამს, ხელით მოაშორებს)  
 ეს არ მინდა... აუღულარი მოიტა.

**ბებია** ექიმმა სთქვა, შვილო, ადუღებული  
 წყალი სვანო.

**ანდრია** (უკმაყოფილად) ეჰ, ექიმი, ექიმი!  
 წყაროსი, წყაროს წყალი... მცხელა...

**ბებია** აღარ არის, შვილო... (თავისთ-  
 ვის) წყაროს წყალს ჩვენ ვილა გვანებებს...

**ნინო** (გამოიდვიძებს) ბებია, წყალი...

**ბებია** (მიაწოდებს იმავე ჯამსა) დალიე, შვი-  
 ლო!

**ნინო** (შეხედავს ჯამს და რა მიიდებს პირზე,  
 უკან დაუბრუნებს) ადუღებულია, არ მინდა...

**ბებია** აუღულარი აწყენთო.



**ნინო** (კანკალით) წყყაროსი... მზე...  
 მცოვა...

**ბებია** (ჩაუტკეპნის) გადაიხურე, გენაცვა-  
 ლო, ჩემო მზეთუნახაო ნინუცი, საბანი და  
 შენივე ორთქლი გაგათბობს...

**ანდრია** (მადლა იუურება) ბები!

**ბებია** რა გინდა, გენაცვალე, ჩემო ან-  
 დრა...

**ანდრია** ეხლა ხომ გაზაფხულია?

**ბებია** (ამ დროს შერცხალი სანათურზე ჭზის  
 და ჭიკჭიკებს) გაზაფხულია, გენაცვალე...

**ნინო** (საბანს გადაიხდის და რა შენიშნავს,  
 ისევე წაიხურავს) განა არ გესმის მერცხლის ჭიკ-  
 ჭიკი?

**ანდ.** მაშ, რატომ მზე არა სჩანს?

**ნინო** (გადიხდის საბანს და ისევე წაიხურავს)  
 რა, ბატონიანთ სახლია, შამოგიშუქოს?...

**ანდ.** განა იმისი სხივი აქ-კი არ ჩამოაშუ-  
 ქებს?

**ბებ.** სანათურშიაც გვაწვდიდა, გენა-  
 ცვალეთ, თავის სხივებსა...

**ანდ.** ეხლა რაღასა ძუნწობს?...

**ბებ.** არა, შვილო, ის გულუხვია. ვინც-კი  
 მიუწვდება, ყველასათვის გულუხვია...

**ნინო** (გადიხდის საბანს, შემდეგ გადაიხურავს)  
 ჩვენ რაღა დაგვემართა?...

**ბებ.** კედელი აგვიფარა, გენაცვალეთ...  
 ქვიტკირის კედელი...

- ანდ.** ვინა?
- ბებ.** ბატონმა, შვილო, ბატონმა.. დაიძინეთ..
- ანდ.** რომელმა?
- ნინო.** ძველმა?...
- ანდ.** აი, ის, რომელიც გადაუსახლებიათ?
- ბებ.** არა, იმისმა მოადგილემა, ღიდმა ბატონმა...
- ნინო.** წყაროც იმან გადაგვიგდო?...
- ანდ.** იცი, ბებია?! მე სიზმარი ვნახე...
- ბებ.** რა ნახე, გენაცვალე, ჩემო გვრიტო?
- ანდ.** ვითომა: მცხელოდა, პირი ისე მიშრებოდა, რო ტუჩები ერთმანეთს ეწებებოდა...
- ბებ.** ვუი, ბებია მოგიკვდა, შვილო, ბებია...
- ანდ.** ერთბაშად, ის კედელი გაირღვა და წყარო-კი გადმოჩუხჩუხდა...
- ნინო** მერე არ დალიე?...
- ბებ.** (სიხარულით) მერე ნაკვალევზე ხომ არ წამოვიდა?
- ანდ.** ჰოდე. აი, ნაბაღნარის თავით რომაა...
- ბებ.** იქ მოდიოდა, შვილო! მოდიოდა ის მშვენიერი წყარო...
- ანდ.** ჯერ ერთი კარგა დავეწაფე; რო გამოვძეხი, მერე გავიძრე ტანისამოსი და შიგ ჩავეშვი...
- ბებ.** (შეშინებული) მერე ხომ არ დაგახრჩო, შვილო?!...
- ანდ.** არა, ბებია, ვიცი ცურავობა. აი, მდინარეში ვისწავლე.



**ბებ.** კიდევ იმისათვის გაცხელებს, შვილო! ის წყალი ჭაობიანია... (მადლა აიხედება) ღმერთო ნუთუ ამ ანგელოზის სიზმარს არ აახდენ? ამათ მაინც არ აუხდენ?... (აიხედება, ამ დროს ჩამოეშუქება აღნავ მზის სხივი)

**ნინო** (გადაიხდის საბანსა, უკვე დამშვიდებულია შესტკეკრის მადლა)

**ბებ.** დაიხურე, გენაცვალე...

**ნინ.** არა, ბებია, გავთბი... იცი, ბებია, მე-კი რა ვნახე?

**ანდ.** სიზმარში?

**ნინო** მა ცხადლივ ხომ შენცა ნახავდი?

**ბებ.** რა, გენაცვალე, ჩემო შაშვო!

**ნინო** ვითომ: ბნელოდა და ისე ჰყინავდა, რომა თვალებს ველარც-კი ვახელდი. რაღაცა ეკლიან ბუჩქებში იყავი მომწყვდეული...

**ანდ.** გამოსვლა გინდოდა და ვერ გამოსულიყავი?...

**ნინო** სიარული არ შემეძლო, ვიყინებოდი.

**ბებ.** ამ დროს უნდა ილოცო ხოლმე, გენაცვალოს ბებია...

**ნინო** ვლოცულობ ხოლმე. ამ დროს ხელი მომავლო ვიღაცა ქალმა და მუხლი მომადრეკინა...

**ბებ.** (პირველად ისახავს) წმინდა ნინო იქნებოდა, ვენაცვალე იმის მადლსა...

**ნინო** მითხრა: „ილოცე, შეევედრე უფალსა. მეც მოვიხმობ წმინდა გიორგისაო“...

მართლაც უცბათ გამოეჩანა თეთრის ცხენით და ის ცამდის აბჯენილი კედელი ლახვარით გაარღვია...

**ბებ.** (მოუთმენლად) გაარღვია?...

**ნინო** დიახ, გაარღვია. ამ დროს ამობრწყინდა შხე და დამთბა...

**ბებ.** მერე გათბი, გენაცვალე?...

**ნინო** დიახ გავთბი. შემდეგ იქავ კლდიდგანა გადმოჩუხჩუხდა ცივი წყარო...

**ანდ.** მერე, არ დალიე?!...

**ნინო** დავლიე. მოვიხედე, დავინახე: ჩვენს ნაბალნარზე გაშენებულიყო ბალი, შიგ საამურად ჭიკჭიკობდენ: შაშვი და მერცხალი; ვარდზე-კი ბუღბუღი იჯდა და დახაროდა.

**ანდ.** მერე იმ ბალსა ვინა რწყავდა? სათავეში ვინ უდგა?

**ნინო** სათავეში ვილაცა სამნი უდგნენ; შენკი კვალს უსწორებდი...

**ბებ.** იყო, შვილო! იქ, იმ ადგილას, იყო მაგისტანა ბალი...

**ანდ.** მერე, რალამ ამოაგდო?

**ბებ.** უწყლოობამა და უმზეობამა...

**ანდ.** (მერცხალი ჭიკჭიკებს. მათ შორის ღუმლია. ზაუზის შეძგებ) ბებია! მწყურიან, პირი მიშრება...

**ნინო** ....ნეტა კი ეხლა ის წყარო დამალევინა...

## II

ივინივე, პეტრია.

**პეტ.** (შემოდის შეუმჩნეველად. მივა კუთხეში, მიჯდება და ჩიბუხს მოუკიდებს)

**ნინო** (შერცხალი ჭიკჭიკებს, ჰაუზის შემდეგ რა შეჭყურებს შერცხლს) ნეტავი შენსავე ფრთები მესხას...

**ანდ.** რას იზაფდი?...

**ნინო.** თავისუფლად ვიფრენდი. იქ, კედლის რქით, გადავფრინდებოდი, სადაც მზე თავისუფლად ბრწყინავს და თავის სხივებს აბანებს ცივ წყაროში...

**პეტ.** მამა მოგიკვდათ, მამაი!... მერე, თვით მეც, იმ კედლის აშენებაზედა ვეხმარებოდი, მე-კი უბედურმა, რა ვიცოდი, თუ ამით მზეს ვიხშობდი?..

**ანდ.** (გატაცებული შერცხალითა) ბებია?! რატომ ჩვენ-კი არ გვასხია ფრთები?

**ნინო** მაშინ ხომ ანგელოზები ვიქნებო დით?..

**ბებია** ადამიანი, შვილო, მძიმეა... ცოდვიანსა, შვილო, ფრთები ვერ ზიდავს.

**ნინო** არც ადამსა და ევასა ჰქონდათ ფრთები?

**ბებია** არა ჰქონიათ, ჩემო ანგელოზო...

**ნინო** ნეტა ანგელოზი ვიყო...

## III

ივინივე, ექიმი, ილია

**ილია** (კარებშივე) უპირველესი წამალი თავისუფალ მზის სინათლეა და ანკარა წყარო. ხოლო ამათ-კი უხშობს კედელი, რომელიც უნდა დაინგრეს...

**ექიმი** ეგ-კი ბატონის სურვილ-ბრძანებაზეა დამოკიდებული...

**ილია** არა, ხალხისა! სოფელს შეუძლიან დააქციოს...

**ექიმი** სოფელმა ბრძანებით ააშენა. ნაბრძანები ბრძანებითვე დაინგრევა.

**პეტრია** (წამოაძახებს ხალხიანად. წამოდგება) მეე, მეც ვმუშაობდი იმის აშენებაზედა. დღიური ანაღები გვიხაროდა...

**ილია** თანაც გიკვირდათ, დიდი ბატონის მოწყალება?!...

**პეტრია** (მწუხარებით თავს დაიქნევს) ხალხისანადაც ვმუშაობდით...

**ილია** (გულმკტივუნელობით) მძიმე ქვებს აწყობდით, კირით ჰკირავდით. ამით-კი კედელს ამაგრებდით...

**ბებია** (თავისთვის) ნაკვალი სათავე თვითვე აჰქოლეს და წყარო გადაუგდეს.

**პეტრია** (ამოაფრთხიან) დიახ, ვკირავდით, ის-კი არ ვიცოდით, თუ...

**ილია** მზეს იხშობდით...

**პეტრია** რა ვიცოდით, შენი ჭირიმე...

**ექიმი** (მაჯას უსინჯავს ავადმყოფებს) ნამდვილი ციებ-ცხელებაა. მთელი სოფელი ამით არის შეპყრობილი.

**ბებია** ლამის მოიდნოს ყველა ამ სნეულეობაში.

**პეტრია** მაგან არ მოიდნო ჩემი ცოლი და ორი შვილი?... ოჯახი დამიობლა.




ეროვნული  
ბიბლიოთეკა

გომი

როსა

ჯუჯარვილი, მოქ. I, გამოსვლა III-IV. ნახატი ო. შმერლინგისა



...ლია... უპირველესი წამალი: თავისუფალ მზის სინათლეა და ანკარა წყარო...

**ილია** კედელი-კი მზეს აპფარებია. კვალი  
წყაროსი აუბნევია...

IV

იგინივე, **გოგია, მიხა**

**გოგია** (შემოსულისათნავე) ის კედელი-კი რომ  
დანიგრეს, წყაროც აქავე გვექნებოდა, ასე  
შორს წასვლა აღარ დაგვჭირდებოდა.

**მიხა** დანგრევა, ბარე, კარგია, მაგრამ არც  
ისე ადვილია?!...

**გოგია** (აძლეუს ბებიას კაკით წყალს) აი,  
ბებია, წყაროს წყალია...

**ნინო** (მარცხვად თავისთვის) წყაროს წყა-  
ლია?!...

**ანდრია** ჩქარა მომეცი, ბებია!...

**ექიმი** (ილიას ელხანაკებს. მიმართავს ბებიას)  
აწყენთ.

**მიხა** (ნინოს) წყაროსია მა! გოგიამ მოი-  
ტანა. საათის სავალი ნახევარ საათში მოარბენია.

**ილია** (თავისთვის ექიმს) უთუოდ უყვარს...

**ბებია** დანიშნულის მოტანილი, ვით სიყვა-  
რული, გამკურნავია. (ნინოს ასმეუს) ჯერ შენ  
დალიე... (ანდრეას დარეგებით) ქალის პატივი,  
თუმცა „წყალი ჯერ პატარასაო“, მაგრამ მა-  
ინც ჩვენში ძველად ქალის პატივი სჩვევიათ.  
(მიაწოდებს ანდრეასს) მეც მოვალე ვარ მომა-  
ვალთ გარდმოგცეთ.

**ილია** კურთხეულ იყავ მოხუცო! ღმერთმა  
გამყოფოს სამაგალითოდ.

**პეტრია** ეგ რო არა მყავდეს, მა ვინ მო-  
 უვლიდა მაგ ჩემს ობლებსა.

**ექიმი** (ნინოსა, რა შენიშნავს, რამ ბებიაშ მე-  
 რედ მიაწოდა წყალი და სვამს) ნუ მოიჭარბებ.

**ნინო** (ბებიას) თითქო, კარგადა ვარ... (გა-  
 დახედავს გოგას) არც მცივა...

**ბებია** (აღწავს გადიმებს, გადახედავს გოგას)  
 თვალი თვალს ათბობს, შვილო სიყვარული-  
 სა... (ანდრას) აა, გენაცვა, კიდენ მოსვი.  
 წყაროა ჩვენი განმკურნებელი.

**პეტრია** დღეს-კი ჩვენთვის დაძვირებული.

**ილია** წყალი კვლავ ნაგუბარში ჩადგება.

**ბებია** მაშინ სოჯელიც ამ სნეულებისაგან  
 განიკურნება.

**ანდრია** (ბებიას) ბებია, მცხელა, პირი მიშ-  
 რება...

**ნინო** (ბებიას) ბები, კიდენ მწყურიან...

**გოგია** (ილიას, ეჭვიანობის დიმიდით) თვი-  
 თონ ჩადგება?!

**ექიმი** ეგ-კი ბატონის სურვილზეა დამოკი-  
 დებული.

**პეტრია** ჩვენი ბრალია, ჩვენი...

**ილია** არა. დამოკიდებული ნიადაგზეა. რი-  
 თაც სათავე გადაეგდება—მითვე ნაკვალზე გა-  
 მობრუნდება.

**გოგია** როგორ?! კედელი თვით დაინგრე-  
 ვა, წყარო ჩვენკენ გამობრუნდება?



**პეტრია** ჩვენ, ჩვენ ჩავკირეთ...

**ბებია** ინგრევა, შვილო, დედამიწა...

**ილია** ძალა-უნებური ყოველი დაინთქება...

**ექიმი** ბრძანებით აშენებული, ბრძანებითვე დაინგრევა.

**ილია** ვინ ჩასდგა კედელი ჩვენ ნარუისსათავეში? ვინ აუქოლა ამ სოფელს ცამდის აბჯენილი კედლით მბრწყინვალე მზე?

**პეტრია** ჩვენ, ჩვენ...

**ბებია** ქვა და კირიც ჩვენის ურმებით მოზიდულა...

**ილია** ვინც ააშენა—იგივ დააქცევს. ვინც მეფეს დასვამს—იგივ გადასვამს.

**პეტრია** (ფიქრში) მაშ, მთელი სოფელი?...

**ილია** სოფელი!

**გოგია** მაგრამ მათში უმრავლესობა დაშინებულია?...

**ექიმი** ეგ სნეულებაა.

**ბებია** უწინ ჯანმრთელნი, ეხლა უკლები დაასნეულა.

**პეტრია** წინად?! წინად მზე გვიანათებდა...

**ილია** მირონივით წყარო გადმოდიოდა...

**მიხა** მთელმა სოფელმა?... (თავისთავის) ჩვენ-მა მშობლებმა?...

**ილია** (მიხას) ავს და კეთილსა მშობელი სთესავს შვილის სამკელოდ...

**ბებია** შვილის ვალია მშობლისა ცოდვა მოინანიოს.

Handwritten scribble on the left margin.

Handwritten number '12084' on the left margin.



**გოგია** (მიხას) გახსოვს, მიხა, გეუბნებოდი: ყოველი დღემდის აშენებული ამომავალ მზეს აპფარებია და ამის გამო ეს სოფელიც ქაობის ბუდედ გარდაქცეულა.

**მიხა** ახლა-კი მესმის... რასაც გვირჩევი, მაგონდება...

**გოგია** უნდა დაინგრეს, რომ მზე გამობრწყინდეს.

**ილია** წყაროც—„მირონი“—თავის ნაკვალზე გადმოჩუხჩუხდეს.

**გოგია** ხომ ვალადა გვღვეს?!... (გადახედავს ნინას) მზე იყოს საჭირო, კედელი ეფარებოდეს, ეს-კი ციებით იტანჯებოდეს? გამკურნებელი წყარო სწყუროდეს და მე-კი აქ მის დანიშნულსა შიში მძლევდეს?...

**ილია** სიყვარულმა ტარიელს ქაჯეთის ციხე ააღებინა.

**გოგია** მაშ წამო, მიხა! ჩვენი ტოლები შევკრიბოთ ყველა, და ერთობის ძალით გადმოდანგრიოთ რაც-კი რამ მზესა ეფარებოდეს.

**მიხა** გასწი და მოგდევ.

**პეტ.** მეც გამოგყვებით...

**ექიმი** ფრთხილად, დიდი ბატონი არ გაგირისხდეთ. ბატონზეა დამოკიდებული.

**ილია** ნუ აჩქარდებით.

**ბებ.** აჩქარებითა სოფელი არავის მოუქამია...

**გოგ.** ნუ აჩქარდებით?! ნუ თუ, ბებია, არ მოიღალე მოვლითა სნეულებისა?



**ბებ.** მოვლაც და დარიგებაც ჩემი ვალია.

**ექიმი.** თქვენ-კი მოთმენა.

**მიხა** კმარა მოთმენა. დავილხბრჩეთ ამ ჯაობ-  
შია.

**გოგ.** წამოდი, ძმაო! მოთმენა მონას შეჰფე-  
რის.

**ანდ.** ბებია! მცხელა, პირი მიშრება...

**ნინო** ბებია! მცივა...

**ბებ.** თქვენ დაგენაცვლოთ ბებია, შეილო!  
წაიძინევით...

**მიხა** რომ დაესიზმროთ ბრწყინვალე მზეი?!  
კმარა სიზმარი. წავიდეთ, ძმაო!

**გოგ.** წავიდეთ, მიხა! მე გაგიძღვებით...

**პეტ.** მეც, მეც თან მოგყვებით...

**ილია** (შეაჩქარებს) მოიცადეთ, სიფრთხილეს  
თავი არა სტკივა. მოფიქრება სჯობს. გონები-  
თი ბრძოლა სჯობნის ღონესა.

**ექიმი.** ჯერ ვცადოთ თხოვნა. რაც ბატონ-  
ზეა დამოკიდებული.

**გოგ.** (დაცინვის კაღმთი) როგორ! კედელსა  
ვსთხოვოთ, ნუ ეფარება ბრწყინვალე მზესა?

**ბებ.** არ გმართებს, შეილო, უფროსის ცინ-  
ვა.

**ილია** ყმაწვილებო! მათქმევინეთ...

**პეტ.** უადგილოა შენი დაცინვა.

**ილია** დაე, გეგონოს. ოღონდ მისმინე და  
ჩემი რჩევაც გაითვალისწინე.

**პეტ.** ბრძანეთ. გისმენთ, ჩვენო მამაო.

**მისა.** გემორჩილებით...

**ილია.** შეეყაროთ ყველა სოფლის მცხოვრები და მივუგზავნოთ მოციქულადა...

**გოგ.** ვისა?! დიდსა ბატონსა? მზისა ამქოლსა, წყაროს დამხშობსა?!...

**ილია** სოფლის მცხოვრების მდგომარეობა დავუსურათოთ. სნეულები მას შევაბრალოთ.

**ბებ.** ცდა ბედის მონახევრეა.

**ილია** იქნებ დაგვთანხმდეს, ის კედელი განახევროს, რომ მზემ ჩვენსკენ ნახევრად მაინც გადმოიხაროს. წყაროს ნაწილიც ჩვენსკენ გადმოგვივდოს.

**პეტ.** ჩვენი სოფლისთვის მზე შუადლიდან გადმოშირდება და წყაროს ტოტიც საზრდოდ გვეყოფა.

**ილია** მაშინ ეს ჭაობიც გაშრება.

**ექიმი** უხილავი ბაჭიებიც, ციებ-ცხელებისა, განადგურდება. კოლოები მთლად ამოსწყდება.

**ანდ.** ბებია! მცხელა, პირი მიშრება.

**ნინო** ბებია მცივა...

**გოგ.** (რა შეამჩნევს ნინოს კანკაღს) წავიდეთ, ნულარ ვიგვიანებთ...

**მისა** (ფიქრში) წავიდეთ...

**ილია** სოფელს, სოფელს შევეკითხოთ.

**ბებ.** ღვთის მშობელმა გზა დაგილოცოთ.

**ნინო** წმინდამა გზა გაგინათოთ.

**ნინო** მცივა..

**ანდ.** მწყურიან...

*[Handwritten signatures in purple ink]*

**მოქმედება პირველი**  
II სურათი

**მოქმედნი:**

- |           |                       |
|-----------|-----------------------|
| უსინათლო  | მათია                 |
| მამა ილია | მოურავი დიდი ბატონისა |
| პეტრია    | ბებია                 |
| მიხა      | მართა                 |
| გოგია     | ქაქალა                |
| ტატე      | და დამსწრენი: ქალი და |
| სესე      | კაცი.                 |

სცენა: დაქანებული ველია. აღმოსავლეთით—  
უკან—მოყოლებული მაღალი ქვითტკირის კედე-  
ლი; ამ მხრიდან ოდნავლა მოსჩანს ეკლესიის  
ჯვრის თავი: ხოლო იმის უკან შორით მყინვა-  
რის მთის თავი, თეთრად დათოვლილი. მარც-  
ხნივ ჯაგებია, ხოლო მარჯვნივ სასათლაო მორ-  
დილ დანგრეულ გალავნიანი ეკლესიით. კედე-  
ლი მხარ-მარჯვნივ დანესტიანებულია, ეტყობა  
მოზრდილ წყაროს ნაკვალი, სასათლაოს თავში  
მარცხნივ მიმავალი.

I *ქოყა*

**უსინათლო, ქაქალა, სესე, მათია**

უსინ.(ისმის გაბზარულ ზარის ნეჯი ხმა. ჰა-  
უზის შემდეგ შიგნიდან) მესმის, მესმის სოფლის  
ზარის ხმა...

**ქაქ.** (შვინიდანვე) სოფლის სასმენად, ჩემო პაპია.

**უსინ.** (მთხრობებუღი) მესმის, შვილო, მესმის... (შემოდის ქაქას ხელმძღვანელობით. მთხრობენ: სესე და მათე) უსინათლო ვარ, ჩემთვის მზე აღარა ბრწყინავს; ხოლო მესმის; სმენით-კი, შვილო, მესმის...

**სესე.** მერე, რა გესმის, ჩვენო ბერია?

**უსინ.** რა მესმის?!.. სასაფლაოს გაბზარული ზარის ხმა! გაბზარულ ზარის ხმა...

**მათე.** (ქაქ-იქა შემოდის ემაწვილი ბიჭები) მე-კი სულ ეგრეთი მახსოვს...

**სეს.** რამ გაბზარა? უთოოდ გეცოდინება.

**რამდენიმე ხმა** გვიამბე, გვიამბე!..

**დანარჩენნი** აბა, აბა?!...

**მათ.** მე-კი სულ ეგრე მახსოვს, რაც თავი შემისწავლია.

**უსინ.** არა, შვილო, იგი წმინდა ნინოს დროის ჩამოსხმულია...

**მათ.** (გააწევეტინებს) მაშ, რალამ დააზიანა?!

**სეს.** როდის გაიბზარა?!..

**რამდ.** ხმა გვიამბე, გვიამბე!..

**დანარ.** აბა, აბა?!..

**უსინ.** ჯერ ისევ ვაჭიკაცი ვიყავ, რომ ეს ზარი სოფლისა, დღეს გაბზარული, ეკიდა ამა ტაძრის სამრეკლოზე დაუზიანებელი. მაგის წმინდა ხმა სოფლის ბოლოში თვით ყრუსაც-კი

მე. მათხრეა  
გოგია



გულში სწვდებოდა. ცისკრის დროს ამის ან-  
კარა წკრიალა ხმაი თვით მძინარესაც მსწრაფლ  
აღვიძებდა. ლიტანიობას ამა სოფლის ტაძარ-  
ში გვიწოდებდა და ქრისტეაღდგესა სოფელი  
ერთმანეთს აქ ულოცავდა...

**რამ. ხმა** (მთუთმენლად) რაღამ გაბზარა?...

**დანარ.** რამ დაანგრია?...


**უსინ.** ცოდვამა, ცოდვამა!!..

**საერთო ხმა** როგორა, როგორა!..

**უსინ.** ჯერ ისევ ჩემის ბატონის აქ ყოფნა-  
ში ჩვენმა ქალბატონმა დღევანდელმა ჩვენმა  
დღედინაცვალმა მარიაშმა აქ ინახულა დიდი ბა-  
ტონი. უღალატა ჩემ კეთილს ბატონსა და შეე-  
თვისა ჩვენთვის უცხოთა მკაცრსა ბატონსა. ამა  
ტაძრისა მოძღვარი ჯვარს არა სწერდა, მათ  
შეუღლებას უზნეოდ სთვლიდა. ამისათვის ხე-  
ლი შეახეს ჩვენს წმინდა მოძღვარსა და გაუყე-  
ნეს იგიც ჩემის ბატონის შორეულ გზასა...

**რამდ. ხმა** მერე იქორწინეს!...

**უსინ.** „ძალა აღმართის მხვნელია“! ბატო-  
ნებმა ძალა იხმარეს და ჯვარიც მორჩილით  
გადაიწერეს. სოფელი განზე იდგა, თითქო  
გაშტერებული, ხმას არ იღებდა... მაგრამ ზე-  
ცამ-კი არ შეიწყნარა; კამარა ცასა ღრუბელი  
გადაეფარა; ასტყდა ხშირი ქუხილი, მას მოჰ-  
ყვა წვიმა კოკისპირული.. ვერც-კი მოასწრო  
ჩემმა შვილმა ამა ტაძრისა კარის დახურვა,



რომ უცბად იელვა, იქეჭა, ვით რისხვა, და მეხი დაეცა...

**მათ.** (ისმის იგივე ზარის ხმა, ხოლო უფრო მძიმე) შენ შეიღს დაეცა?!..

**უსინ.** არა, თვით ტაძარსა; ხოლო ჩემს შეიღსა გული გაუსკდა, ამის მნახველსა... მას შემდეგ არის ეს ზარი გაბზარული და ეს ტაძარიც, ჩვენი სოფლის წმინდა სავანე, დანგრეული... ჩემი შეილიც ამა ლოდისა ქვეშ განსვენებული... მე უსინათლოს, მას შემდეგ მზისა უხილავს, მესმის მხოლოდ ამა ზარის ხმა... მარტო მე მესმის მის საიდუმლო გლოვისა გაბზარული ხმა...

## II

იგინივე, ილია, პეტრია, მიხა, გოგია, ბებია, მართა, ტატე, და სხვანი

**მათ.** სად არის, სად ღვთის სამართალი?!.. (მადლა ხელების ახურობით)

**ტატე.** არა, არა! იგი რო იყვეს, განრისხდებოდა...

**მათ.** მეხს მათ დასცემდა!...

**პეტ.** მთლად გაანადგურებდა...

**უსინ.** ვინ სკოდებს ღმერთსა?!.. არა, შეილო, იგი არსებობს...

**ილ.** იგი თვით ჩვენში, ადამიანიში არს.

**მათ.** (უკმაყოფილოდ და გაუბეჯავად ბუბუყებს) არსებობს, არსებობს...

**ტატე** მერე, სად არის, სად?! აგერ, დიდი ბატონი ტყესაც-კი ეკლიან ღობეს ავლებს...

**რამდ ხმა** (გაკვირვებული) ღობესა ავლებს?!..

**პეტ.** (დადონებული) არც იქ შეგვიშვებს...

**გოგ.** მერე, რაღას უყურებთ?! ნუ თუ ბატონისაგან არ გჯერათ?...

**პეტ.** აღარ შეგვიშვებს, აღარ შეგვიშვებს...

**გოგ.** რაღას უყურებთ, დავაქციოთ, რომ იგიც ამ კედელივით არ გამაგრდეს...

**რამდ.** ხმა წავიდეთ, წავიდეთ...

**ტატე** თორემ შემდეგ ვინანებთ...

**რამდ.** ხმა (აზიარებენ წასვლას) წავიდეთ, წავიდეთ..

**უსინ.** მოიცადეთ, შესდექით!..

**ბებია** ნუ აჩქარდებით...

**გოგ.** (შესდგება უკმაყოფილოდ) ნუ აჩქარდებით?!..

**ფამდ.** ხმა (უკმაყოფილოდ ბრუნდებიან) ნუ აჩქარდებით, ნუ აჩქარდებით...

**უსინ.** ეს ხმა ზარისა, რისთვისაც გიწვევთ, ჯერ მოისმინეთ.

**რამდ.** ხმა (მათში, რომლებიც არ დაძრულან) მოისმინეთ, მოისმინეთ...

**უსინ.** (ზარის რეკვა მძიმეთ მოისმის და ნელ-ნელა სწყდება) ხალხის ზარის ხმაც ისმინეთ...

**რამდ.** ხმა (მათ შორის, რომლებიც არ დაძრულან) უსმინეთ, უსმინეთ...

**ბებია** ხალხნო, ვინ არის აქ წეს-რიგის დამ-  
ცველი?..

**უსინ.** მეთაური ავირჩიოთ, მეთაური

**რამდ. ხმა** ავირჩიოთ, ავირჩიოთ..

**ტატე** გოგია, გოგია!

**რამდ. ხმა** (მათ შორის, რამდენიც გოგიას  
მისდევენ) გოგია, გოგია!...

**უსინ.** ჩვენი მოძღვარი მამა ილია, ამაში  
გამოცდილია!

**რამდ. ხმა** (მეორე მხარე) ილია, ილია!...

**ტატე** კარგით, იყოს მამა ილია.

**ბებია** მამა ილია, მამა ილია..

**უსინ.** იგი უფრო გამოცდილია.

**საერ. ხმა** (გარდა რამდენიმესი) ილია, ილია..

**ილ.** „ხმა ღვთისა და ხმა ერისაო“. (მის-  
წვდება ზარის ხმა) გემორჩილებით. ვერ აღვუდ-  
გები სოფლის სურვილსა.

**მარ.** (ბებიას ხმამაღლივ) ქალების აზრიც  
ხომ საზიაროა?

**გოგ.** ქალებსაც ჰქონდეთ უფლება მონა-  
წილეობისა.

**ბებ.** ბრწყინვალე თამარის დროიდანა  
გვაქვს, შვილო, ეს უფლება...

**უსინ.** ბრძენ შოთასგან ნათქოძია: „ლე-  
კვილოძისა სწორია, ძუ იყვეს, თუნდა ხვადია“..

**ილ.** არა მგონია, ჩვენში აქ ვინმე იყვეს  
წინააღმდეგი.

**პეტ.** განვაგრძოთ, განვაგრძოთ.

**ილ.** ვითხოვ წეს-რიგსა. რომელსა სურს  
ლაპარაკი?

**გოგ.** მე მსურს.

**ილ.** გისმენთ.

**გოგ.** მთელი სოფელი ციებ-ცხელებამ შეიპყრო. დიდსა თუ პატარას ადამიანის ფერი აღარ ადევს, უმრავლესობა ლოგინათა წევს. სოფელს მზე ენატრება, მას-კი, აი, ეს კედელი ეფარება, სოფელს წმინდა ანკარა წყალი სწყურიან, მის ნაკადულს-კი აღშობს, აი, ეს ქვითკირი; ხოლო მოძმენი ჩვენი, მთელი სოფელი, იმ მდორე მღვრიე ჭაობიან წყალსა სმენ. მზე თავის გულუხვ სხივებით ბრწყინავს, ხოლო გაუმადლარი ბატონი, ამა მთელ სოფლის მბრძანებელი, მას გვიხშობს; ამასაც არ გვაკმარებს, ტყესაც დაგვიხშობს. ჩვენ-კი მოხრილნი, ვით საქონელი უღელ ქვეშა, ვითმენტ სნეულთა კვნესას საბნისა ქვეშა. ვინ ააყუდა, აი, ეს კედელი? მთელმა სოფელმა ბატონის ბრძანებითა, ხოლო ჩვენდა დასაბნელებლათა, დასასნეულებლათა. მაშ თუ ვგრძნობთ: ჩვენ სიბნელესა, ჩვენს სნეულებასა, რაღას ვუყურებთ? დავაქციოთ ერთის ძალით და ღონით!

**რამდ. ხმა** (ზოგი წამოდგება) დავანგრიოთ!  
დავანგრიოთ!... დავაქციოთ!..

**ბებ.** (შეხედავს ილას) ფრთხილად, შვილებო, ფრთხილად ...

**უსინ.** ჩემთვის მზე აღარ ბრწყინავს.. ხოლო მესმის ხალხისა ზარი.

**ბებ.** „ორჯელ გაზომე, ერთხელ გახიეო“. მაგის აშენება ადვილი იყო, ხოლო დაქცევა-კი...

**პეტ.** (შეხედავს ილას) ი, ბატონი აშენებაში ჯილდოს გვაძლევდა, დაქცევაში-კი, რა ვიცი...

**გოგ.** რაც მოგვივა მოგვივა, უნდა დავაქციოთ!

**რამდ. ხმა** დავანგრიოთ! დავაქციოთ!..

**ილ.** ხალხნო! დაწყნარდით. ახლა მე მომისმინეთ...

**უსინ.** უსმინეთ, უსმინეთ.

**ილ.** (წამომდგარი განაგრძობს, რა შეატყობს) გულ-ყურთა სმენა მეც დამაყოლებთ. ძველთაგან თქმულა: „აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამიაო“... ნუ ავჩქარდებით. ხშირად გონიერი მძლეველია ღონიერისა. იყო აქ მზე ბრწყინვალე ბუნებით მონიჭებული, ხოლო ჩვენმა სოფელმა თვითვე ააშენა ეს კედელი, ამით დაიხშო მაცხოვარი თავისუფალ მზის სხივნი...

**ბებ.** (თავისთვის) გაბრიყვდენ, შენი ჭირიმე, გაბრიყვდენ...



**ილ.** აქ, ამ ნაკვალევზე გადმოსჩქეფდა ანკარა წყარო და ასაზრდოებდა ჩვენს ხალხსა, ხოლო სოფელმა მისი სათავე აქოლა ამა კედლითა, თვითვე შეაყენა მისი თავისუფალი მდინარეობა...

**ბებ.** (თავისთვის) „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი დავითაო“...

**ილ.** ჩვენ დავვემართა დიახ! მაგრამ გვიანლაა ახლა თითზე კბენანი...

**გოგ.** (თავისთვის) შემდეგ უფრო გვიანი...

**ილ.** მართალია, ჩვენივე სოფლის აშენებულია ეს კედელი, ხოლო ეს იყო სურვილი ბატონისა...

**პეტ.** (თავისთვის) ბატონი-კი არა, —სულთამხუთავია...

**ბებ.** (თავისთვის ხელებ ახურავით) ღმერთო! შენა ჰკითხე...

**ილ.** მაშინ თუ სოფელმა აღაშენა სურვილითა...

**გოგ.** (მოუთმენლად) სოფელს ვინა ჰკითხა?! ეს იყო მხოლოდ სურვილი რამდონიმესი...

**ტატ.** მართალია, რამდონიმესი..

**რამდ.** ხმა მართალია, მართალი...

**ილ.** შესაძლოა! მაგრამ კედელი მაინც აშენდა. მზე ბატონს მიეშუქა, ანკარა წყარომ მის მხარეს იწყო დენა. სოფელმა ბატონს ამითი ასიამოვნა, ხოლო ამ სიამოვნებამ იგი გაამეფა. აღამიანზედ უფროსობა აღარ იკმარა, დაავიწყ-

და ბრძანება, მეფობა თვით ბუნებაზედაც მონდომა. ბუნებით მონიჭებული, ყველასათვის უხვი, მზე და წყარო თვით დაისაკუთრა. ამას შეეჩვია და ბუნების მეფედ გარდაიქცა. შემდეგ ეს მდგომარეობა ბატონმა დაიკანონა, მიიჩნია სამართლიან კანონად...

**გოგ.** ამ დაკანონებაში ხალხს არ მიუღია მონაწილეობა...

**ილ.** სრული სიმართლეა. ხოლო სოფელი მაინც დღემდის უსრულებდა ამ კანონსა...

**გოგ.** (აწუგუტინებს) ჩვენც უნდა იგი ძალით დავიბრუნოთ...

**უსინ.** ძალითა, შეილო, ძალითა!...

**ყველ.** ძალითა! ძალითა!...

**ილ.** ქეშმარიტად. მეც ის მინდა გაგითვისლისწინოთ, რაც ბუნებაში ხდება. ძალა ჰაერშია ც არის, უფრო ძლიერიცაა; და როდესაც მოპირდაპირე ჰაერის ძალაც ერთმანეთს შეეხეთქება, ცეცხლს აჩენს, ხოლო შემდეგ ძირს მებად ეცემა დედამიწასა, რომელიც აქრობს და აგრილებს, ვითა მშობელი. თუ არ დედამიწა, ქვეყნიერობასა ცეცხლი გაუჩნდებოდა. ეს მაგალითი ჩვენვე უნდა გადავიღოთ. ბატონი ჩვენგანვეა წარმოშობილი, ხოლო მისი ძალა ჩვენგანთვე მინიჭებული; რაც ერთმანეთსკი არ უნდა შევახეთქოთ, არამედ ჩვენვე უნდა გავანელოთ...

**ბებ.** „სისხლი სისხლით არ მოიბანება“..

**პეტ.** მართალია, მართალი...

**რამდ.** ხმა მართალია! მართალი!..

**ტატე** (უკმაყოფილოდ) მართალი, მართალი...

**ილ.** ბატონს, ჩვენგანვე გამეფებულს, აქვს ადამიანის ძალა მოპოვებული და თუ ეს ძალა სოფლისვე ძალას დავუპირდაპირეთ, ქვეყანას ცეცხლი გაუჩნდება.

**გოგ.** ნაცვლად თავისუფლება აღმოცენდება.

**ილ.** ეგ საიდუმლოა, როგორათაც მიზეზი ბუნების მოვლენისა. ხალხნო, ჩვენ ვერიდნეთ საქვეყნო ცეცხლსა. „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსაო“. ჩვენც მივმართოთ ხერხსა და შესაძლოა შევისრულოთ წყურვილი.

**პეტრე** ბრძანეთ.

**რამდ.** ხმა ბრძანეთ! ბრძანეთ!..

**დანარ.** (გარდა გოგისა და ტატესი) აბა, აბა?!..

**ილ.** ნებით ავაშენეთ კედელი, ნებითვე დავანგრით იგი და მოვიპოვოთ მზის სინათლე ჩვენდა სადღეგრძელოთა...

**რამდ.** ხმა როგორ, როგორა!...

**გოგ.** ეგ სწორედ იგივეა, რაც მგელს თხოვნა: „კრავს ნუ შესჯამო“.

**ილ.** რატომ, თუ-კი მგელი დარწმუნდება, დღეს თუ ხვლ იმისი ძვალი ყელზე დაადგება,

დაახრჩობს, — შესაძლოა აღარ ინებოს კრავის ჭამა. ჩვენც მივმართოთ, ხალხნო, ბატონსა, გავუთვალისწინოთ ბატონს, რომ ჩვენსა და მის შორის კედელი გვიხშობს სინათლესა, გვარიდებს მზის სხივებსა და გვანატრებს მასაზრდოებელ ანკარა წყაროსა. გავუთვალისწინოთ ჩვენს ქალბატონს—მის მეუღლეს—მარიამს, რომ ამით შესაძლოა სოფელი ამხედრდეს და ვით მთიდან წამოსულმა ნაჭერ-ყინულმა გზა-გზა მიიკრას ფიფქი თოვლი, მოაზვაოს და ყოველი ძირს დახვედრილი გაანადგუროს.

**პეტ.** მივმართოთ!

**ყველ.** (გარდა: გოგიასი, ტატქსი და რამოდენიმე ემაწვილ კაცისა. მისა ყოყმანობს) მივმართოთ, მივმართოთ!..

**ილ.** ამისათვის საჭიროა ამოვირჩიოთ მეთაურები, რომლებიც მიმართავენ ჩვენს ქალბატონსა, ხოლო იმის საშუალებითა ჩვენს ბატონის მოადგილე დიდს ბატონს.

**პეტ.** მამა ილია, მამა ილია!

**უსინ.** იგი უფრო, ვით წინამძღვარი, გამოცდილია.

**რამდ.** ხმა მამა ილია! ილია!..

**პეტ.** ვთხოვოთ, გაგვიძღვეს მამა ილია.

**ყველ.** (გარდა: გოგიასი და ტატქსი) ილია, ილია!...

**ილ.** მე თხოვნა არ მინდა. მოვალე ვარ შევასრულო სოფლის ბრძანება. საჭიროა სამი



კაცი. ორიც დაასახელებ. მათ შორის ვასახე-  
 ლებ გოგისა.

**რამდ. ხმა** კარგია, კარგია!..

**ტატე** გოგია, გოგია!..

**რამდ. ხმა** პეტრიაცა, პეტრია!..

**გოგ.** ხალხნო! მტერს უნდა შეებრძოლო:  
 ან დაამარცხო, ან და დამარცხდე. აი, ჩემი  
 მიმართულება. ამისთვის მე არ ვემორჩილები  
 თქვენს დადგენილებასა. ვისაც სურს ჩემს მხა-  
 რეს ყოფნა — ჩემსკენ წამოვა. (გაღკება განზე.  
 ტატე და რამდენიმე უმაწვილი კაცი გადავა. მისხ  
 ყუყუმანბს) როდესაც თქვენი თხოვნა არ გას-  
 ჭრის მბრძანებელთანა, ჩვენ მზად ვიქნებით და  
 მაშინ ბრძოლას მივმართოთ.

**მართა** მათ შორის, ბებია, ბებია!

**რამდ. ხმა** ბებია, ბებია!..

**ბებ.** არა, შვილო! ჩემს ცოდვის შვილებს  
 ვილა მოუვლის. ახლაც სხვას მივანებე. იმ ბა-  
 ტონიანთა ჩემი და მათა არის, თუ გსურთ,  
 ის ჩემს მაგიერობას გასწევს..

**რამდ. ხმა** კარგია, კარგი!..

**ილ.** კეთილი. მათა ქალბატონთანაც დაგვა-  
 ახლოვებს. მაშ ხვალვე გზას გავუდგებით..

**გოგ.** (თავისთვის) ცალიერი დაბრუნდე-  
 ბით...

**ბებ.** გზა... (ამ დროს მოისმის დიდი ზარის ხმა, რაც სიტყვას ზიარში გააწვევტინებს. ეველანი შეკრ-თების და გაშტერებულ დარჩებთან) მშვიდო...

**უსინ.** (შემდეგ სამჯერ ჩამორეკვის) ზარი დიდი ბატონისა...

### III

#### ივინივე, მოურავი

**მოურავი** (რა შემოვა, კედელ-კედელ შუა გულ კედელთან ამაღლებულზე დადგება, ასე თითქმის კედელს მიეკრავ. რიხით. ზარის ხმა შესწყდება) დიდი ბატონის ბრძანება: დღეიდან აღეკრძალება სოფელს ტყით სარგებლობა. ამისათვის ამა კედლიდან მას ეკლიანი ღობე ევლება...

ფ ა რ დ ა

Mego = Roman

840



32  
 148  
 149  
 150  
 151  
 152  
 153  
 154  
 155  
 156  
 157  
 158  
 159  
 160  
 161  
 162  
 163  
 164  
 165  
 166  
 167  
 168  
 169  
 170  
 171  
 172  
 173  
 174  
 175  
 176  
 177  
 178  
 179  
 180  
 181  
 182  
 183  
 184  
 185  
 186  
 187  
 188  
 189  
 190  
 191  
 192  
 193  
 194  
 195  
 196  
 197  
 198  
 199  
 200

11  
 12  
 13  
 14  
 15  
 16  
 17  
 18  
 19  
 20  
 21  
 22  
 23  
 24  
 25  
 26  
 27  
 28  
 29  
 30  
 31  
 32  
 33  
 34  
 35  
 36  
 37  
 38  
 39  
 40  
 41  
 42  
 43  
 44  
 45  
 46  
 47  
 48  
 49  
 50  
 51  
 52  
 53  
 54  
 55  
 56  
 57  
 58  
 59  
 60  
 61  
 62  
 63  
 64  
 65  
 66  
 67  
 68  
 69  
 70  
 71  
 72  
 73  
 74  
 75  
 76  
 77  
 78  
 79  
 80  
 81  
 82  
 83  
 84  
 85  
 86  
 87  
 88  
 89  
 90  
 91  
 92  
 93  
 94  
 95  
 96  
 97  
 98  
 99  
 100

210  
 211  
 212  
 213  
 214  
 215  
 216  
 217  
 218  
 219  
 220  
 221  
 222  
 223  
 224  
 225  
 226  
 227  
 228  
 229  
 230  
 231  
 232  
 233  
 234  
 235  
 236  
 237  
 238  
 239  
 240  
 241  
 242  
 243  
 244  
 245  
 246  
 247  
 248  
 249  
 250

250  
 251  
 252  
 253  
 254  
 255  
 256  
 257  
 258  
 259  
 260  
 261  
 262  
 263  
 264  
 265  
 266  
 267  
 268  
 269  
 270  
 271  
 272  
 273  
 274  
 275  
 276  
 277  
 278  
 279  
 280

## მოქმედება მეორე

მარიამი, ქალბატონი  
ქეთევანი) მარიამის  
დავითი) შვილები \*  
პირველ ქმრიდან  
კატო ) მარიამის შვი-  
პეტრე) ლები მეორე  
ქმრიდან

მფლობელად, მეორე  
ქმარი მარიამისა,  
დიდი ბატონი  
მაია, აღმზრდელი ქე-  
თევანისა და დავითისა  
ილია )სოფლის ამო-  
პეტრია) რჩეულნი

სცენა: ბალი, უკან სასახლე, რომლის აივანია ორ მხრივ მარმარილოს ასავალით; კიბის თავზე მძინარა ლომების ქანდაკებანი მარმარილოსივე. აივნის წინ ჰაუზი, რომლის შუა გველეშაპია და პირიდან ამოდის შადრევანი ხვეულათა. აგურით მოფენილი კვლები და ვარდის ბუჩქები. აქა-იქა მაგიდები თავის საზატხულო საბალო სკამებითა. შიგნიდან მოისმის მხიარული რიალის ხმა.

### I

#### მაია, პეტრია

მაია არა, პეტრია, ჩემი ჩარევა საქმეს ავნებს, ისა სჯობიან, მე თქვენ შორის უჩინრად ვიყვე.

პეტ. შენ იცი, მაია!

მაია ახლა აქედ ქეთევანი ჩემი გარდილი გამოივლის. უეჭველია, გკითხავს ამბავს, შენ, რაც შეიძლება, მათი წყურვილი დაუსურათე; ჩემი გარდილი კეთილია. გულკეთილობით მსწრაფლ გულსა წყლული დააჩნდება.

## II

ივინივე, ქეთევანი

**ქეთ.** (წიგნით შემოდის) ოჰ, გამარჯობა, (ხელს აწმუქებს) პეტრია!

**პეტ.** ბატონის შვილი გვიდღეგრძელა ღმერთმა.

**ქეთ.** როგორა ხართ?

**პეტ.** თქვენი დამაწყევარი იყვეს, როგორც ჩვენა ვართ, შარშან ჩემმა დედაკაცმა კეკელამ ხომ თქვენი ჭირი წაიღო. ეს არ მაკმარა, თანაც ქალ-ვაჟი გაიყოლია.

**ქეთ.** რომელი, ჩვენთან რომ იყო?!...

**მაია** მიხა კი არა, იმაზედ უმცროსი.

**პეტ.** ნასაღდათარი მიხა?! არა! იმაზედ უმცროსი. ახლა კიდენა ორი ქალ-ვაჟი ლოგინად არიან ჩავარდნილნი...

**ქეთ.** მიხაცა!...

**პეტ.** არა, შენი ჭირიმე! იმის მომდევნოები.

**ქეთ.** მერე რა სტკივათ?

**პეტ.** არაფერი შენი ჭირიმე.

**ქეთ.** მა რა სნეულებაა ეგეთი?

**მაია** ციებ-ცხელება. არა მარტო ამისი ოჯახი, არამედ მთელი სოფელი მაგითია დასნეულებული.

**ქეთ.** ექიმი ხომ არის? მერე და მიზეზი ვერ გამოაკვლია?

**პეტ.** რა მოგახსენოთ, შენი ქირიმე. ასე ამბობს, ჭაობიან ადგილის ბრაღიაო.

**მაია** მზე იმათ არა აქვთ და წმინდა სალი წყალი, დასნეულდებიან, მარა მოუვათ!

**ქეთ.** როგორ თუ მზე?! განა მაგათ სოფელში მზე არ ამოდის?

**პეტ.** ამოსვლით-კი ამოდის, მაგრამა...

**მაია** არა მაგათთვის. იმ სიმაღლე კედელი განა მაგათამდე მიუშვებს. შენმა მამინაცვალმა მაგათთვის მზეც დაიშურა და წყალიცა.

**ქეთ.** ჰო, დიახ, დიახ, კედელი...

**პეტ.** ჩვენც სწორედ მაგისათვის გიახვლით, შენი ქირიმე. იქნება დაგვეხმაროთ და დიდ ქალბატონთანა რაიმე გვიშუამდგომლოთ...

**ქეთ.** რომ კედელი დაანგრიონ?! დიდი ქალბატონი დედაჩემი?! ეჰ, ჩემო პეტრია! დედაჩემს ისევე შეუძლიან იმ კედლის აღება, როგორათაცა შენ. დედაჩემს ქალბატონობა მაშინ ჩამოერთო, როდესაც მამაჩემი გადაუსახლებიათ; მაშინ დაჰკარგა იმან თავისუფლება, როდესაც დაუკავშირდა მამინაცვალსა.

**მაია** გულს ნუ გაიტეხ, ჩემო გარდილო! ნათქვამია: „წყალი ნაგუბარში ჩადგებაო“.

**ქეთ.** მერე როდის-ღა, ჩემო გამრდელი?! განა არა ხედავ დედაჩემის ყოფნასა?

**მაია** დავითი მოდის. პეტრია! შენ წადი. შენ და მამა ილიამ დამიცადეთ ბალის ბოლო-



ში და შემოსვლისათანავე აქ გაჩნდით. (ზეტ-რია გადის) შენ-კი, ქეთევან! აბა სცადე დავითის გულში ჩახედვა, ხოლო ეცადე არ გაგიგოს. იქნებ გული ჩვენსკენ აქვს. ღმერთო! შენა ჰკითხე იმ მასწავლებლებს, რომელთაც ასე გამოამიცვალეს...

**ქეთ.** ეჰ, ჩემო გამრდელიო! განა მარტო დავითი? ყოველი სასწავლებლები, განსაკუთრებით სამხედრო, ყველას ასე გვიუცხოვებს.

**მაია** ვგონებ ნაქეიფარია. (გაიფხის) შენი გული გადაუშალე ვით სარკე, იქნებ იცნოს თავი...

### III

#### ქეთევანი, დავითი

**დავ.** შენა ხარ, ქეთევან?!

**ქეთ.** მე ვარ, ჩემო ძმაო! სადილი გიჭამია?

**დავ.** სადილი-კი არა, გადაკრულიცა ვარ.

**ქეთ.** კიდევ გააცილებთ ვინმე?

**დავ.** შენით მოჯადოებული. შენი სადღეგრძელოც დავლიეთ.

**ქეთ.** მე ეგ არ მითხოვნია?

**დავ.** (გვერდით მოუჭდება) შენ ვინა გკითხავდა! იცი, ქეთო, შენ იმას ძალიან უყვარხარ.

**ქეთ.** ვიცი, მარტო იმის სიყვარული არა კმარა. მაგრამ ერთი ეს მითხარი, შენ ვილა გიყვარს!



**დავ.** არავინ

**ქეთ.** მაშ, შენ გულიც არა გქონია.

**დავ.** გული?!.. ჩემი გული ღვინოში დავლიე.  
სმაში ჩავატანე.

**ქეთ.** მაშ. ნუთუ, არავინ გაგონდება?

**დავ.** მხოლოდ სამსახური და ქეიფი...

**ქეთ.** როდემდის, ჩემო ძმაო, როდემდის?

**დავ.** სიკვდილამდის...

**ქეთ.** მაშ, მამა მაინც არ გაგონდება?

**დავ.** მამა?!... მერე, რომ არ მახსოვს?..

შენ-კი გახსოვს იგი?

**ქეთ.** მე წუხელიც ვნახე...

**დავ.** სიზმარში?!..

**ქეთ.** სიზმარში! მერე იცი როგორა?

**დავ.** პატარაობას მეცა ვხედავდი. უფრო  
მაშინ, მაია რომ გვიამბობდა ხოლმე..

**ქეთ.** ვითომც ვიყავით ჩვენს სოფელშია.  
შენ მალალ კედელზე ახვედი გადასახტომად,  
სადაც წყაროს თავია, მაგრამ შიგ-კი გადავარ-  
დი. შევწუხდი. მინდოდა შენი პოვნა, მაგრამ  
იმ კედელს-კი ვერ აუველი. ამ დროს გამოჩნდა  
მამაჩვენი წერაქვითა, მივარდა, დაჰკრა კედელს  
და გაარღვია. გარღვეულ კედლიდან გადმო-  
ჩუხჩუხდა წყარო. შენც იმ წყაროს სათავეში  
გაჩნდი და ორივენი შიგ დავდიოდით ფეხშე-  
ლები. მამა კი ამ დროს იდგა ჩვენი სახლის  
ლაბიერზე და გვეუბნებოდა: „უთხარით მთელს

სოფელს: გამოიყვანონ სნეულნი: დალიონ ეს წყალი, მზეს შეხედონ და განიკურნებიანო“..

**ღავ.** ეჰ, ჩემო ქეთო! ეგ სიზმარი სიზმრად დარჩება, ის კედელი-კი იქ იქნება აყუდებული. მაგ კედლის შემოფარგვლით დაიჩემა ჩვენმა მამინაცვალმა მზეც და წყაროცა.. ან და, რა საჭიროა სოფლისათვის? განა თვით სოფელ-მავე არ ააშენა ის კედელი მბრძანებით მამინაცვლისა?

**მაია** (იქვე ხესთან ეფიფილი, წინ წამოვა) მართალია, ჩემო გარდილო! მაგრამ სოფელმა რა იცოდა, თუ იმ კედლით მზისა სხივები, წმინდა წყაროც დაეხშობოდათ?! მთელი სოფელი თუ ჭაობად გადაექცეოდათ?!.. მთელი სოფელი დასნეულდა. დიდს და პატარასწყურიანთ...

**ღავ.** მერე აკი აქვთ იქ მდინარე?

**მაია** კიდევ ის მღვრიე და ჭაობიანი მათ დღეს უმოკლებს; მორდილთაც-კი ასნეულებს... აი, ახლაც მაგისათვის გამოუგზავნია სოფელს ამორჩეულნი...

**ღავ.** რომელთაც ურჩევ უკან დაბრუნდენ-თორემ ჩვენი... მამაჩვენი მაგ მეთაურებს შორს უკრავს თავსა. შენ-კი, ჩემო გამრდელი, სულ რომ არ გაერიო, ისა სჯობიან, თორემ შენც მიგაყოლებს, დედა-კი მარტო დარჩება...



**მაია** კარგი, შეილო! აგრე გადავცემ  
გამოგზავნილებს.. (გაღის)

**ქეთ.** (რს გაფა მაია) ნუ თუ ჩვენი ხსნა არ-  
საით არის?..

**დავ.** შენ რა გიჭირს?!. განა თავისუფა-  
ლი არა ხარ?

**ქეთ.** თავისუფალი?! ეს, თავისუფლება-კი  
არა, ჯოჯოხეთზე უარესია. თვალით ხედავდე  
სნეულთ, ყურიით გესმოდეს მათი წყურვილი  
და კი ვერ შეგეძლოს მათი განკურნება? ბუ-  
ნება იყვეს უხვი სოფლისათვის, ხოლო გაუ-  
მაძლარი ბატონი-კი თავისის კედლით ყვე-  
ლას უხშობდეს!

**დავ.** ეჰხ, ჩემო ქეთო!.. მაგრამ არა!  
(წამოდგება) მე ხომ სამხედრო პირი ვარ... არ  
შემფერის...

**ქეთ.** არ შეგფერის ამ კითხვის სჯა?!..  
(წამოდგება) მერე როდემდის?..

**დავ.** სანამ, აი ამ მხრებზედ ეს ტვირთი  
მადევს...

V

ივინიკე, კოტე, პეტრე

**კატო** ქეთო! საღამოს ჩვენთან საკრებუ-  
ლოში არ წამოხვალ?

**ქეთ.** არა!

**პეტ.** მე გთხოვ, ქეთო, ჩემის ხატრით  
წამოდი.

**ქეთ.** განა არ იცი, ჩემო ძმაო, მე იქ არ დავიარები?

**კატ.** მაგას სოფელში ურჩევნიან გლეხებში. შენ, დავით, არ წამოხვალ?

**დავ.** წამოვალ, აბა აქ რას გავაკეთებ.

**ქეთ.** რა ვუყოთ, თქვენ იქ მაღლიან წრეებში ჰპოვებთ სიამოვნებას, ხოლო მე-კი ზაფხულობით სოფლად გლეხებში...

**კატო** გლეხები?! რა ჩვენი საკადრისია გლეხები? აი, ჩვენი წრის საზოგადოება; მათთან გართობა; ცეკვა-თამაში სამხედრო პირებთან. მეტადრე დეზებიანთანა.. ცეკვაში რომ გააქვს ხმაურობა: ძინ, ძინ, ძინ! თითქომუსიკა იმათთვის არისო.

**პეტ.** მით უმეტეს არკადიასთანა, არა, კატო?!

**კატო** მართლა და არკადია კარგად ცეკვავს... ჰო, პეტრე, იცი, რომ ქეთო შეყვარებულია?

**პეტ.** ჰოო?! არ ვიცოდი? მერე ვისზედა?

**კატ.** (ქეთოს შეჭხედავს) შენს ნამოსამსახურე მიხაზე.

**დავ.** გთხოვ!..

**კატო** ოჰო!.. წაექომაგე?

**პეტ.** ჰო, და მართალიც არის. აბა, რა სახუმაროა?

**ქეთ.** აქ საძრახისი მაინც არა არის-რა! განა არ შეიძლება, იგი ბევრს თქვენის წრის



ყმაწვილკაცებს სჯობდეს! პატიოსანი და ერთ-  
გული ქმარი მაინც იქნება. მისმა მომწონმა შესა-  
ძლოა არც გაგიცვალოს შენს არკადიაზე.

**კატო** დაადარე მსხალი პანტასა.

**ქეთ.** ეგ გემოვნებაზეა დამოკიდებული.  
მაინც და მაინც, პანტა უფრო ფესვ მაგარია...

**კატო** რაში მეჭირვება იმისი ფესვი, თუ  
თვით არ იქნება სურნელოვანი? რას იტყვი,  
დავით?

**დავ.** მომწყდი თავიდან...

**კატო** როგორ გეტყობა გაუნათლებლობა?  
წავიდეთ პეტრე! ვგონებ ამათ ვუშლით...

**პეტ.** შენ, ჩვენი და-კი არა, სწორედ მო-  
რიელი ხარ...

**კატო** (აღარ გაუყრის სექსს) აბა, შენ, ალა-  
ლი ძმა, რომ მაგას მეძახი, ეგენი ხომ...

**პეტ.** (შივა და სექსს გაუყრის) ჰო, კარგი!  
შენთვის ხვალვე დავითს სეკუნდანტებს გამო-  
ვუგზავნი.

**დავ.** (რს გაუყენ პეტრე და კატო, ჰაუზის შემ-  
დეგ) ქეთო?! მართლა და, ხომ არაფერი დამოკი-  
დებულობა გაქვს?

**ქეთ.** ვისთანა?

**დავ.** „ვისთანა!“., ვისზე წამოგძახა კა-  
ტომა?!

**ქეთ.** მაგაზედ არც-კი გიპასუხებ.

**დავ.** ჩემო ქეთო! ნუ-კი ჯავრობ. ხომ იცი, ამ სახლში შენ რომ არ მყვანდე, ერთს წუთსაც არ დავდგებოდი. არ მინდა, რომ შენ ეგ წამოგძახონ.

**ქეთ.** მიხა, რომ ჩვენ გვემსახურებოდა, ხომ იცი, ეგენი უდიერად ექცეოდნენ, მე-კი ვესარჩლებოდი, აი, რისთვისაც დაუხვევია ხელზე კატოს, რომ ვითომ მე იგი...

**დავ.** რალაზე შესდექ?.. ქეთო! რათ მიმაღავ? მითხარ ყოველი.. გიყვარს?

**ქეთ.** მართალია, მიყვარს, როგორც ადამიანი—ბუნების შვილი, კეთილი და პატიოსანი კაცი.

**დავ.** მაგრამ, მაგგვარ სიყვარულს მოსდევს სიყვარული კავშირისა.

**ქეთ.** ჯერ ეგ არ მიგრძნია..

**დავ.** და რომ იგრძნო...

**ქეთ.** რომ ვიგრძნო?!.. მაშინ, რა გაეწყობა, ჩავიყუჩებ ჩემს გრძნობას..

**დავ.** მაგრამ გვიან-ლა რომ იქნება? ჩატეხილი ხიდიც ხელს შეგიშლის, მასთან ვერ მიხვალ..

**ქეთ.** შენ მცდი. ან და, დამცინი ილიას სიტყვებით.. მაგრამ მე-კი გეტყვი გულ-ახლილად: თუ შევამჩნევ თვით მიხას, ვით „გიორგის“ სიყვარულს, აღარ მივხედავ მის გვარი-



შვილობას; აუხვევ ხიდსა და შიგ წყალში გავ-  
ცურავ...

**ღავ.** ვაი თუ ცურაობამ გიმტყუნოს? სი-  
სუსტემ გძლიოს და მორევმა დაგახრჩოს?

**ქეთ.** მირჩვენთან წმინდა სიყვარულის მო-  
რევმა დამახრჩოს, ვიდრე ისეთმა, როგორში-  
აც ჩვენ ვიმყოფებით. ჩემთვის „მთელი ტივი“  
უკვე მიტანილია, რომელსაც ნათლადა ვხე-  
დავ, რადგან განთიადის დასაწყისმა განვ-  
ლო და უკვე მზემ გადმოიმზირა.

**ღავ.** მაშ, მზის სხივი მხოლოდ თვით მიხას  
ვერ შეუმჩნევია..

**ქეთ.** სწორედ. არც საკვირველია, რადგან  
იმყოფებიან ჩვენს მამინაცვლის ხელში, რო-  
მელმაც თვით ჩვენთვისაც-კი ჩვენი მშობელი  
დელა დედინაცვლად გარდააქცია...

**ღავ.** მშობელს ნუ შეურაცხობ.

**ქეთ.** არა, ჩემო ძმაო! მე მშობელს-კი არ  
შეეფურაცხევი, არამედ ვკიცხავ მის მოქმედებას..  
განა ვერ ხედავ, რომ დღეს მონაა იგი ჩვენის  
მამინაცვლისა, რომელმაც არა მარტო ჩვენსა  
და მშობლის შორის ააგო კედელი, არამედ  
სოფლისა და მზის შორისაც...

## VI

ივანივე, მაია

**მაია** (გამოჩნდება) დედამიწიდან ანკარა წყა-  
რო კი დაუბნო. ცამდის აბჯენილ კედლით



ბრწყინვალე მზე აქოლა და ამით სოფელი  
 ჭობად გადააქცია. მოსავალსაც-კი ღვარძლი  
 გამოსდევს და სოფლებს საზრდოს უწამლავს.  
 დიდი-პატარა დასნეულდა, აცივ-აცხელებს და  
 ყველა ერთად გაიძახის: „გვცოვა, გვწყურიან“?

**ქეთ.** და ყველა ამას-კი დედა გულგრი-  
 ლად იტანს, მთელ სოფელს ანაცვალებს ჩვენი  
 მამინაცვალის აღერს-ფუფუნებას?!

**მაია** შვილო, ქეთევან! ნუ მოიხსენიებ მშო-  
 ბელს ცუდად. მოეტყვება. ქალია და, როგორც  
 სუსტი არსება..

**ქეთ.** ეხ, ჩემო გამრდელიო! ქალი არ იყო  
 ქეთევან დედოფალი? თვით შენ არ გვიკით-  
 ხავდი იმის თავ-გადასავალსა? განა ისინი ისე-  
 თივე ადამიანები არ იყვნენ, როგორნიც ჩვე-  
 ნა?

**მაია** ისინი უფრო სულგრძელები...

**დავ.** ყველას არ ძალუძს მსხვერპლად  
 შეწირვა; მაგისათვის იყვნენ აღზრდილნი.

**ქეთ.** მაგრამ მოვალეობა-კი ყოველს იწვევს.  
 სოფელი საჭიროობს გულშემატკივარს. აი,  
 განა შენ კი არ შეგიძლიან ხმა ამოიღო?...

**დავ.** მე?!.. მე ვარ იარაღი მთავრობისა;  
 მამინაცვალმა მე აღმზარდა მთავრობისათვის...

**ქეთ.** ჩვენი სოფელი მაშ უპატრონოა...

**დავ.** (ხაფიზიანად) დიახ, დიახ...

**მაია** ქალბატონი აქედ მობრძანდება.

მომე



## VII

### იგინიფე, მარიაში

**მარ.** აქა ხართ? (მაიას) შენც აქა ხარ?

**მაია** აქ გახლავარ, ქალბატონო, ჩემს გარდილებთან. (გაჯა)

**მარ.** შენ, შვილო დავით, გვიან მოხველ, ჩემთან გამოსამშვიდებლად აღარ შემოხველ.

**დავ.** გვიან იყო, დედა ჩემო! ცეკვისაგან თავბრუ მეხვეოდა; ველარც შეგაწუხებ.

**მარ.** პეტრე და კატოც შენთან იყვნენ, მაგრამ ისინი მაინც შემოვიდნენ. ამ ბოლოს დროს დედის ვალი დაივიწყე, შენც ქეთო, ამ ხანებში გამოიცვალე, გამჩნევ უპატივცემობას.

**ქეთ.** მე ყოველს, დედაჩემო, ღირსეულად ვექცევი.

**მარ.** კიდევ ეგ არის, რომ არა! იმ დღეს მამაშენს ძლიერ უკმეხად მოეპყარ...

**ქეთ.** მამაჩემს?! იქნება მამინაცვალსა?

**მარ.** შვილო ქეთევან, დღეს მამაა შენი, აღარ გარგებს გარჩევა. დღეს ის არის ჩვენი ოჯახის მფარველი და მასთან უფროსიც...

**ქეთ.** არა, დედაჩემო! მფარველი კი არა, დამლუპველი; დიახ, დამლუპველია!

**მარ.** (შიიხედ-შიიხედება შეშინებული) რას ამბობ, ჩუმადა შვილო!.. იმდღესაც, მე რომ არ ვყოფილიყავი, გიპირობდა...

**ქეთ.** სოფლად გაგზავნას განა? მე მზათა

ვარ მოვშორდე აქაურობასა. მზად ვარ დავი-  
ვიწყო იმისი სახე, მამიჩემისას, აი, ამ სურათს  
ვუყურო..

**მარ.** ქეთევან, შვილო, შენი თავიც შეი-  
ბრალე. ხომ იცი იმისი ამბავი. აი, იმ დღე-  
საც ბრძანა: შენგან მომეხსნა სურათი მამი-  
შენისა. მე შეეპირდი, მაგრამ... გთხოვ, შვი-  
ლო, უბეში შეინახო, რომ არ შეამჩნიოს.

**დავ.** როგორ! შვილს მამის სურათის ტა-  
რების ნებაც არა აქვს?..

**მარ.** ჰო, და ვაჟკაციც შენა ხარ... (სია-  
მოყნებით უყურებს) მაშ, შვილო უთხარი...

**დავ.** მე?!.. ჩემს უფროსს?.. მე სამხედრო  
პირსა არა მაქვს უფლება...

**ქეთ.** კმარა, არავისა გთხოვთ. მე ვარ ახლა  
სრულ-წლოვანი და მზრუნველიც აღარ მჭი-  
რია, დღეიდან წარსულის ანგარიშსაც-კი  
მოვიტხოვ, მე მემკვიდრე ვარ მამიჩემისა და  
მე მეკუთვნის ჩემი ნაწილი სოფლისა მაინც.

**დავ.** ჩემი ნაწილიც, ჩემო ქეთევან, შენ-  
თვის გარდმომიცია...

**მარ.** (შეშით შიხედება და შენიშნავს) შვილო,  
გაჩუმდი! აგერ მოდის...

### VIII

ივანივე, მფლობელაზე

**მფლ.** (გაჩქარებით წამოხული შესდგება) ოჰო!  
თქვენ ყველანი აქა?!...



**მარ.** აქა, ჩემო ბატონო, შენს დასახვედ-  
 რად!..

**დავ.** (გამოიჭიმება) დიახ.

**მფლ.** კარგი!.. შენ, ქეთევან: აბა მიყუ-  
 რე?!...

**ქეთ.** თვით შიგ თვალეებში! რადგან სხვი-  
 სი არა დამიჩემიარა...

**მფლ.** როგორ? (მისედავს მარამს) მაშ;  
 შენ!..

**მარ.** არა ჩემო ბატონო! მე სრულიადაც  
 არათფერი...

**მფლ.** (ზიზღით) აჰ, ქალაჩუნა!.. (დავითს)  
 შენ, ჩემო მხედარო! როგორ უსრულებ შენს  
 უფროს სამხედრო მოვალეობას?!

**დავ.** როგორც მიბრძანებთ..

## IX

### ივინიკე, მაია

**მაია** დიდო ბატონო! თქვენს სანახავად  
 გიახლნენ ჩვენის სოფლიდან.

**მფლ.** (გადასედავს მარამს) ოჰო! აქ რაღაც  
 ამბავია!; (დაჯდება) დაუძახე! (მაია გავა. ყუკასს  
 სათითადად უყურებს, ზაუზა) დასხედით; ქეთევან,  
 დაჯექი.

**ქეთ.** ~~მე~~, როგორც ქალი (გადასედავს მასს)  
 და არა მხედარი, თქვენი მორჩილი, — არ გემორ-  
 ჩილებით.

**მფლ.** (მუქარით) ქეთევან?!..

## X

ივინივე, მათა, პეტრე, ილია

**პეტ.** (მეწიწეებით) დიდი ბატონი ადღევრ-  
ძელა ღმერთმა.

**ილ.** აქა მშვიდობა!

**მფლ.** (ილიას) შენ არ გეკადრება ქულის  
მოხდა?!..

**ილ.** როგორც მოძღვარი...

**მფლ.** შენ სოფლის მოძღვარი აღარა ხარ!

**ილ.** როგორც ნაკურთხი. ჩვენ ვიხდით  
მხოლოდ სასულიერო წესითა.

**მფლ.** მარტო თქვენა ხართ?!

**ილ.** (წინ წადგება) სოფელმა მხოლოდ ჩვენ  
ამოგვიჩია.

**მფლ.** კარგით! რა გსურთ?! ჩქარად, თქვენ-  
თვის არა მცალიან.

**ილ.** „ბატონი ერისთვისაო“! თქვენც სოფ-  
ლისათვისა ხართ, მას შემდეგ...

**მფლ.** კარგით! მერე?

**ილ.** სოფლის გაჭირვება თქვენად მიიჩნი-  
ეთ. მისი წყურვილით თქვენ მოიწყურვეთ,  
ვით მამა სოფლის, როგორც ჩვენი კეთილი  
ბატონი.

**მფლ.** მერე?!?..

**ილ.** სოფელი ჭაობში სცურავს. დიდი-პა-  
ტარა დასნეულდა ციებ-ცხელებით.

**მფლ.** მაგისათვის გყავთ დანიშნული ექიმი, მერე?!

**ილ.** ექიმი, დიდო ბატონო, იქ ველარას უშველის, სადაც მოსავალსაც-კი შეეპარა ღვარძლი, რამაც ხალხი დაასწულა. ჰაერიც-კი სწულვებით გაჟღენთილია, და, აბა, ექიმმა აქ რა უშველოს?..

**მფლ.** კარგი! მერე მიზეზი?!

**პეტ.** კედელი გახლავთ, თქვენი ჭირიმეთ.

**მფლ.** კედელი?!..

**ილ.** დიახ, კედელი, რომელიც აჭყულებია ბრწყინვალე მზესა...

**მფლ.** მერე?!...

**პეტ.** წყაროც გადაგვეგდო, აღარ მოგვდის ანკარა წყარო, ბალიც კი ამომივარდა.

**მფლ.** მერე?!!

**ილ.** ბალს ვილა ჩივის, ყოველს წყარო ენატრებათ, იგი მირონად მიაჩნიათ. მდინარე ჭაობიან სწულვებას უფრო ხელს უწყობს და სოფელს ამითი ბოლო ეღება.

**მფლ.** სულაც, რომ ამოწყდეთ, ის კედელი მაინც კედლად დარჩება! ჩვენს შორის იგი იქნება. არ მივაკარებ სოფელს ჩემს კარმიდამოს.

**ილ.** მთლად ამოსწყდეთო?! ნუ გავიწყდებთ ბატონის მოადგილევ!...

**მფლ.** რას ჩააცვივდი: „ბატონის მოადგილევ, მოადგილევ“!!

**ილ.** მე მოგახსენებთ, რაც მართალია: თქვენა ბრძანდებით ბატონის მოადგილე...

**მფლ.** კარგი! მერე?!

**ილ.** კეთილი, მოგახსენებთ და, აი, რასა: თუ ცხვარი არ იქმნა, მეცხვარე რა საქირაოა?

**მფლ.** უმეჰ!... კეთილი?! (წამოდგება და შავ ილიასთან) იცი? მე შენ მომწონხარ.. ამისათვის შენა გნიშნავ ჩემს მოურავად...

**ილ.** არა, დიდო ბატონო! კრუხი ქორობას ვერ გასწევს. მე მოძღვარი ვარ და მოურავად ვერ გამოვდგები.

**მფლ.** არ გაქვს შენ სამწყსო. სოფელს სხვა მოძღვარი ჰყავს.

**ილ.** მრგვალი, არა ყავარჯენის კვალს მიზღვეს, არამედ მოძღვრის სულით და გულით მოფენილ გზასა. ბატკანი შარა გზად მიზღვეს, ვინც მისებრ ბლავის.

**პეტ.** დიახ, დიდო ბატონო! ჩვენ იმისი არა გვესმის რა, ჩვენი მოძღვარი ისევ მამა ილია არის.

**მფლ.** გასწით, გამშორდით! (შიდას) კედელი კედელად დარჩება, მაგრამ!.. მაგ ჯიუტობისათვის-კი ჭკუას გასწავლით..

**ილ.** დიდო ბატონო, სოფლისავე! გვისმინეთ (მფლს მიმართ) შესდგება ნათქვამი არის: „ხმა ღვთისა — ხმა ერისაო“. ხმა სოფლისა



ძლიერია. მოგახსენებთ, თუ-კი მიიღებთ საყურადღებოდ. ხშირად მწვრთნელ-მზრუნველს ლომი ემორჩილება; მას ასიამოვნებს, უსრულებს ყოველს ბრძანებას, სანამ მის ძალღონეს არ შეეხება; ხოლორა შეეხება, მაშინ იგი აღარ მოერიდება. შხამიან გველსაც ათამაშებენ, ვითა მორჩილსა, ხოლო თუ გაამწარა, დაშხამავს თვით პატრონ მწრთენელსაცა.

**მფლ.** (მოუბრუნდეს) როგორ, მემუქრებით! მე თქვენ ძალღივით დაგახრჩობთ...

**ქეთ.** (დავითი ღელავს. მარამი კანკალებს) არ გეკადრებათ...

**მფლ.** (შესდგება. უუერებს ქეთევანს) შენ მართალი ხარ.. წადით. გამშორდით. თვალით არ დამენახვოთ. მზეს-კი არა, ჰაერსაც დაგიხშობთ. გადაგასახლებთ...

**ქეთ.** (გაფლენ: ილია, ჰეტრია და მია), გადასახლებთ?! დავით! ხომ გაიგონე მამა ილიასაგან? „გაწურთენილი გველი თუ გამწარდა, მწვრთნელსაც არ დაინდობსო“...

**დავ.** დიახ, დიახ..

**მფლ.** ააა!.. (შივა, წაჭკეჭავს გუფიდან ნიშანს) აი, ამის ხსოვნამ გაგაჯიუტა. (მარამს) შენ არ გიბრძანე? ან იქნება შენც...

**დავ.** (ნაბიჯის გადადგმით) გთხოვთ, ნუ შეურაცხყობთ. ეგ სურათია თვით მამაჩემისა..

**მარ.** მე ბრძანებელი..

**მფლ.** ქალაჩუნა!... (შეჭბღვერის დავითს)  
მაშ, აი, თქვენი ხსოვნა..

**დავ.** (რამ უნდა დაახეთქოს, გამოსტაცებს)  
თქვენ მაგისი ნება არა გაქვთ..

## XI

### ივინივე, პეტრე, კატო

**მფლ.** მე ნება არა მაქვს? შენს უფროსს  
ეწინააღმდეგები?! პეტრე! მე უფროსს და მამას  
ხელი შემახო. ამიტომ გიბრძანებ, როგორც  
უფროსს, აპყარო იარალი. ნიშანს კი მე თვი-  
თონ ავხსნი..

**დავ.** მაშინ..

**ეთ.** (დავითს) ... გაწურთენილი მორჩილი  
ლომი, თუ შეეხო მის სიამაყესა, არ დაინ-  
დობს თვით მწვრთნელსა ბატონსა.


**მარ.** (მუხლ-მოდრეკილი) დიდო ბატონო!  
გემუდარები, მოუტევე, ნუ შეურაცხყოფ მაგის  
ყმაწვილკაცობას..

**მფლ.** შეასრულოე ჩემი ბრძანება, სანამ მას  
სასამართლო დასჯიდეს.. (პეტრე. მივა მძიმედ  
და აჭყრის იარაღს. ამ დროს დავითი დადგნებუ-  
ლია) მარიამ!! ახლა-კი მეზიზღები! (მიუბრუნ-  
დება დავითს და ახსნის ნიშნებს, ხელს რა შესხნის,  
დავითი იგრძნობს ტვირთის ახსნას) უფლებისა-  
მებრ ვხსნი ამ ნიშნებსა..



۵۷

۹۶۱۳۵۹۳۱



۱۳۱۳۱۳۱۳

۱۳۱۳۱۳۱۳

۱۳۱۳۱۳۱۳

**მარ.** (ვით ბურანში) გეზიზღები?!..

**დავ.** ახლა-კი ვგრძნობ თავისუფლებას, თითქო ტვირთი მამსხნესო..

**მფლ.** მე თქვენ ჯოჯოხეთს გაგრძნობინებთ..

**მარ.** (წამოდგება, თითქო ახლა გამოირკვია) ჯოჯოხეთსა?! ამაზე მეტი ჯოჯოხეთი?! მაგრამ, კმარა! გეზიზღები? არა! შენ სხეული მოგწონდა ჩემი და იყავ ბატონი ჩემი ოცდაათი წელიწადი, რაც მთლად საუკუნედ მე ჩამეთვალა. ეს არ იკმარე, სულის ბატონობა-კი მოისურვე.. გეზიზღები?! ახლა, როცა გამომფიტე, სულაც-კი დამიჩლონგე?.. ახლა, როდესაც ყოველი დაისაკუთრე, ხელში ჩაიგდე? ახლა, როდესაც წარსული ჩემი დამითრგუნე და მომავალიც დამიჩლონგე?.. არა! შენ-კი არა, მე მძაგხარ... მეუღლე კი არა, ჩემი მტარვალი იყავი..

**ქეთ.** დამშვიდდი, დედაჩემო!

**მარ.** შენ გეზიზღები? მაშ, რაღა გინდა ჩემს სახლში! აქ შენი ხომ არა არის-რა? რა მოგიტანია?... მაგრამ, აი, სამაჯური, დღემდის მეყარა (მოიხსნის ხელიდან და მიუგდებს) ვით ბორკილი-შენგან გაყრილი..

**კატო** (აიღებს სამაჯურს) დედა! რა დაგე-მართა?

**მფლ.** (გამარჯვების შეტყუვლებით) შენ დავავიწყდა, რომ აქ მე ვარ ბატონი...

**მარ.** (შეწუხდება) მაშ სოფელში..


**მფლ.** ან სოფელში ვილა შეგიშვებს? ისიც ჩემია. იქაც მე ვარ მბრძანებელი. ამას თვით კედელი ღალადებს და მის დამცველად ჩემი მორჩილნი არიან.

**ქეთ.** (შეშინებული) რა გემართებათ?!

**დავ.** (წყაღს ასშევს) დამშვიდდი, დედა!...

**სურათი:** ჰეტრეს უნდა მისვლას; ხალხი მამა გამომეტყუვლებით არ მისცემს ნებას. კატო მხრების აწევით მიუახლოვდება მამას. მარიაში წამს მობრუნდება, შეხედავს სურათს და გადაესვენება ქეთევანის მკლავზე.

ფ ა რ დ ა



## მოქმედება მესამე

მაია,	ტატე,
ქეთო,	გაუტანია,
მარიაში,	მინა,
ქაქალა,	დავითი,
მიხა,	გოგია,
პირველი ყარაული,	უსინათლო,
მეორე ყარაული,	

გლებები და ჯარის კაცი.

სცენა მეორე სურათისა

I

**ტატე, ქეთო, მაია**

**ტატე.** ხმა სიმღერის—(შიგნიდან გუთნის კილოზე)

... გამჩენო! ამიხდინეო:

მალლითმზე დამადინეო...

თუ გინდა ჩემი დარჩენა,

ციება ამაცდინეო..

**ტატე** (შიგნიდან. შესრეების ბანი ისმის) აბა, დაუჩქარეთ, გენაცვათ, ბიჭებო!.. (აჭეუება მათ ბანსა) ოოჰო, ჰოო... თფუ,.. შენი გამჩენის ჭირიმე, შენიი.. (სიმღერა კარგა ხნის განმავლობაში ნულ-ნულა შესწყდება) ეს ბოლოც გავიდეთ და მერე ავუშოთ.. ჰოო..

**ქეთო.** (მაიას, რა შემოვლენ სასაფლავს მხრიდან) რომელ გუთნიდედის ხმაა?

**მაია** ტატესია, ჩემო გარდილო!

**ქეთ.** საწყლები! მუშაობაშიაც-კი მზესა ნატრობენ.

**მაია** სოფლისა, ჩემო გარდილო, მიწა, მზე და წყალია. ამის მეტი არა გააჩნია—რა საზრდოთ. გლესს თუ ეგენი დაუნატრელი აქვს—აღარა უჭირს-რა.

**ძეთ.** არა მარტო გლესს, ჩემო გარდილო, არამედ ყოველს სულდგმულსა. განა იგივე არა სჭირიათ თვით ბატონებსა? რით განაირჩევა ცხოვრებაში გლესი ბატონისაგან?

**მაია** შთამომავლობითა.

**ქეთ.** არა, ჩემო გამრდელიო, უფრო მდგომარეობითა: ბატონი ბატონობს და გლესი მისთვის მუშაობს. აი, ახლა მე, რით განვირჩევი? დღემდის მხოლოდ ტანსაცმელით და კანის სინაზით.

**მაია** გონებით ჩემო გარდილო, გონებით.

**ქეთ.** არა, ჩემო გამრდელიო, არც გლესებს აკლიათ გონება, ხოლო იმათ არა აქვთ იგი განვითარებული. რა ვიცით, რომ მიეცათ მიხასთვის იგივე განათლება—რაც ჩემს ძმებს, თუ იგი მათ არ გაუსწრებდა?!..

## II

### ივანევე, ანდრია

**მაია** (რას შეამჩნევს ანდრიას) გაათავეთ, შვილო, ხენაი?

**ანდ.** (მოხუჭული) არა, მალე გაათავებენ. (კანკალით) მე გამაცია, დეიდაჩემო.

**მაია** დეიდა მოგიკვდეს, შვილო, დეიდა. გაიქე, გენაცვალოს დეიდა, შვილო, და გათბები... (ანდრია გაძბას) ღმერთო! როდის, როდის, ამოვარდება, ეს გუღმკვდარი ციება-ცხელება.. როდის განთავისუფლდება...

**ქეთ.** სანამ კედელი არ დაინგრევა, ჩემო გამრდებლო... ნეტა, კედლის საძირკვლამდე მიახწიეს?

**მაია** დღეს დილით, შვილო, საძირკვლამდე მიახწიეს.

**ქეთ.** მანძილი, ნეტა, დიდი აქვს?

**მაია** ამ სასაფლაოს ნანგრევ ეკლესიიდან რომ ვიანგარიშოთ, იქნება ორი ქცევის სიგრძეი.

**ქეთ.** შიგ მიხა მუშაობს?

**მაია** არა, შვილო, შიგ ილია სთხრიდა. ახლა სამუშაო აღარა არის-რა. ნაღმიც შიგ საძირკველში გაუკეთეს.

**ქეთ.** მერე, პატრუქი ვინ უნდა გაუკეთოს?

**მაია** ბედმა ილიას არგუნა.

**ქეთ.** ილიასა?.. რაღა იმ მოხუცს, სოფლის ბრძენს, არგუნეს?

**მაია** ეს თვითონაც სურდა. მიხაც ცეცხლს მიაწოდებს.

**ქეთ.** (წამოხტება) მიხა?!.. მერე, რომ დაი-

ლუბოს?... მაგრამ, ჰო!.. ოღონდ, მალე-კი დაინგრეს კედელი..

**მაია** დანგრევით-კი, შვილო, დაინგრევა. ხოლო თუ ბატონმა მეორედ აშენება არა ბრძანა..

**ქეთ.** მაშინ-კი სოფელი უნდა აღუდგეს წინა.

**მაია** ჩემო გარდილო! სოფელი მაგას ვერ შესძლებს. სოფელს ამით მეთაურები მოაკლდება..

**ქეთ.** ჩემი ძმა დავითი უმეთაურებს, ამისთვის უკვე მზად ჰყავს ტოლები, ახლა საჭიროა მოვიმხროთ ყარაულები..

**მაია** (ხელეპ-ანუწმობილი) გმადლობ, შენ ღმერთო, რომ მეთაურობა ჩემს გარდილს არგუნე... ახლა უფრო სიფრთხილე გვმართებს..

**ქეთ.** დაიგვიანეს ყარაულების უფროსებმა.  
**მაია** ახლავ იმათ მიხა მოიყვანს..

### III

#### ივანივე, მიხა, ყარაულები

**მიხ.** (რა შემოვა კედლის მხრიდან, აჩვენებს) აგერ, ისინი აქ არიან. მე-კი წყაროს წყლისათვის წავალ.

**პირ. ყარ.** ფრთხილად, მოურავმა არ შეგამჩნიოს...

**მეორე ყარ.** მოურავი ექიმთან არის. (მისხ  
შესვდავს ქეთოს და გავა)

**ქეთ.** გამარჯობა თქვენი! (გადაავლებს თვალს  
მისას)

**მაია** რად დაიგვიანეთ?

**პირ. ყარ.** გაგიმარჯოთ!

**მეორე ყარ.** ამხანაგებში გვქონდა სჯა-  
ბაასი.

**ქეთ.** მერე, დაიყოლიეთ?

**პირ. ყარ.** თვითონ ახლაც არ არის თანა-  
ხმა.

**მეორე ყარ.** თანახმა რომ არ ვიყვე, არც  
აქ ვიქნები, მაგრამ..

**მაია** შვილო! კარგა დაუფიქრდი, რა ყოფა-  
ში ხართ.

**მეორე ყარ.** ეგ-კი ანგრეა, მაგრამა. მე ამი-  
სათვის რომ ჯამაგირს მაძლევენ? ამ ჯამაგი-  
რით-კი მე ჩემს ცოლშვილს ვარჩენ.

**ქეთ.** რაში გინდა იგი ცოლშვილი, თუ-კი  
შვილები სნეულნი გაგეზრდებიან.

**პირ. ყარ.** მერე, თვით ამას უწევს ორი  
შვილი ციებ-ცხელებით.

**მეორე ყარ.** რა ვიცი, მერე ამ კედლის  
ბრალია?

**ქეთ.** ნუ თუ ვერ ამჩნევ, რომ ეს კედ-  
ლი მზეს ეფარება? მე ხომ ვყოფილვარ შენს  
5.

მიწურშია? განა რაც იქ სინათლეა, ისევე  
 ბნელა ბატონის სახლშია!

**მეო. ყარ.** მარა იქნება მზე იმ მხარეს  
 არის.

**ქეთ.** ეს კედელი რომ აინგრეს, მზე თა-  
 ვის სხივებს ამ მხარესაც ყველასათვის თავი-  
 სუფლად გადმოაშუქებს. ან წყარო განა არ  
 დაგიღვია, მისი გემო ხომ გაგიღია?

**მეორე ყარ.** რაც ყარაულად ვარ, მე იმ  
 წყალსა ვსვამ.

**პირ. ყარ.** ჩვენი ცოლ-შვილი-კი იმ მდა-  
 რე წყალით იკვებება.

**ქეთ.** რომ სვამ, ის ანკარა წყარო, განა  
 გემრიელია? მაშ ნუ თუ არა გრძნობ, რომ იგი  
 ყველასათვის მარგებელია?

**მეორე ყარ.** მე განა კედლის დანგრევის  
 წინააღმდეგი ვარ?..

**ქეთ.** მაშ რა გაბრკოლებს?

**პირ. ყარ.** ეს ამბობს: „ვაი, თუ მერე ისევ  
 სოფელს მოუხდეს აშენებაო. მაშინ თუ სას-  
 ყიდელს აძლევდენ, ახლა ძალად ააშენებინე-  
 ბენო“.

**მეორე ყარ.** ეგეცა და ბატონი...

**ქეთ.** თქვენ ჩვენ მთგვეყვით და ველარ  
 გაბედავს ჩვენი მამინაცვალი.. (შაის) ეს რა  
 წამომცდა..

**შაია** „ზოგჯერ თქმა სჯობს“.. ჩემო გარ-  
 დილო, ქალბატონო ქეთევან!



**პირ. ყარ.** (გაკვირვებული ქუდს მოიგლეჯავს)  
როგორ, თქვენ ჩვენი კეთილი ბატონის შვი-  
ლი?!

**მეორე ყარ.** (ქუდ-მოგლეჯული გამოეჭიმება)  
გერი დიდი ბატონისა? მერე მაგ ტანსაცმელ-  
ში?

**მაია** ჯერ ჩუმად, შვილო! ორივემ პირზე  
ხელი მიიფარევით..

**ქეთ.** მე და ჩემი ძმა, გერნი თქვენის ბა-  
ტონის მოადგილესი, ხოლო ჩვენის მზრუნვე-  
ლის, ვით მტარვალს, გამოვეცალეთ. მოვე-  
ლით აქ, რომ სოფელს შევუერთდეთ და დავან-  
გრიოთ ეს კედელი. დავანგრიოთ ჩვენ შორის  
მზისა ამქოლი, წყაროს დამხშობი, დავიხსნათ  
სოფელი სნეულებისაგან, რომელიც თქვენსკე-  
ნაც ხელ-გამოშვერილი დახმარებას ელის..

**მაია** ქალბატონი მარიამიც განშორდა ბა-  
ტონს, წავიდა ქვეყნის მბრძანებელთანა, რომ  
მათ უზენაესის ბრძანებით დაუბრუნდეს, რაც-  
კი რამ ჩვენს კეთილს ბატონს აქ ჰკუთნებია.

**პირ. ყარ.** (ადფრთხვანებით) მაშ, გავვიძეხით!  
თქვენთან თავს დავდებთ მბრწყინვალე მზის-  
თვის.

**მეორე ყარ.** მე რაღას ვაქნევ!.. მოგდევთ  
მეც უკან. არ დავიხვევი, თუ გინდამც მოვყევი  
ამ კედელსა, ჩვენ წინ აყუდებულსა.

**მაია** წყნარად, შვილო, ნუ აღელდებით. გულის სიმშვედე და მოფიქრება საქმეს არ ავნებს. თქვენში მომხრე კეთილსა კვალი აჩვენეთ, ხოლო ურჩისა-კი გზა აუბნიეთ...

**მეორ. ყარ.** ეგ მე მომანდეთ...

**ქეთ.** მაშ გასწით ახლავ. ყველა კეთილი თან წაიყვანეთ ხევის კოშკშია. იქ ჩემი ძმაა ყმაწვილ-ბიჭებით, მას შეუერთდით. ყველას თვით ჩემი ძმა გიმეთაურებთ.

**მაია** იყავით მისი მორჩილნი ამა სოფლის განათლებისათვის.

**პირ. ყარ.** (შესდგება) მაგრამ მინა ბატონთან რომ წავიდა? ახლა მისული იქნება...

**ქეთ.** (შაიას) ვინ მინა არის! ნუთუ გაგვიგეს და გვიღალატეს?...

**მაია** მინა ვანელი უნდა იყვეს. ამას წინად რომ შენ გეკამათებოდა, მეტოქეა გოგისი...

**პირ. ყარ.** პეტრიას ქალსა, ნინასა, სთხოვდა.

**ქეთ.** მაშ, გაგვცემს—თუ იცის რამე.

**პირ. ყარ.** არა იცის—რა გარდა იმისა—რაც უკვე გაგებული აქვს სოფლის წარმომადგენელებისაგან.

**მაია** მაინც სიფრთხილეს თავი არ სტკივა.

**ქეთ.** (სწერს წერილს) მაშ, ყოველ ამას მივსწერ დავითსა

**პირ. ყარ.** (ყარაუფს) შენ ეს წერილი წაიღე. მე-კი წავალ და გამოვიმძღვანებ ყოველს ჩემს ამხანაგებსა.



**ქეთ.** მერე ენდობი იმათა?

**პირ. ყარ.** როგორც ჩემს თავსა. ეგ მე მომანდეთ.

**ქეთ.** აი, გასწით, გახსოვდეთ ყველას: მზე და წყაროი, რომელიც არის თქვენთვის დაბ-შული.

**მეორ. ყარ.** ეგ დაეკვეთოს—ვინც უღალატოს.

**პირ. ყარ.** ამინ! (გაფლენ ორიგუნე)

**ქეთ.** საჭირო იყო მაგათი მხარი..

**მაია** ღმერთო! ჩვენო გამჩენო! გვადირსე შენით მონიჭებული: ნათელი მზე და ანკარა წყარო...

**ქეთ.** გამრდელი ჩემო! დროა წავიდეთ და ვაცნობოთ ყოველი ეა მამა ილიას. გარდა ამისა, დავალებული მაქვს დავითისაგან: შევამზადოთ სანეტარო დროსათვის ყველა..

#### IV

#### ივანივე, მიხა

**მაია** (რა შეამჩნევს მიხას ლიტრით) აგერ მიხაცა..

**ქეთ.** ახალი ხომ არა იცი რა?..

**მიხ.** ყოველივე ისევ ისეა, ქალბატონო!..

**ქეთ.** არა გრცხვენიან? ნუ თუ ახლაც მე შენი ქალბატონი ვარ?.. ნუ თუ სოფლის ქალებსა ამ ტანსაცმელში მაინც არა ვგვეარ?..

**მის.** (ენის დაბმით) არა, არ..

**მაია** მიხა გლებია, მაგრამ მაინც იცის ფასი ბრწყინვალე მზის; მისთვის დახშულსა, როგორ შადრის მზისით მთვარესა.

**ქეთ.** ჰო, და, ჩემო გამრდელი, მზეს ხომ მაშინ შეეძლება ამა სოფლის განათება, როს კედელი დაინგრევა?..

**მის,** (წინ წამოწევით ადფრთფვანებუდი)  
... გამოცოცხლდება..

**ქეთ.** (შიაწევს მიხსსაკენ) თითქოს უნდა ჩაკსსს) მაშინ მეც..

**მაია** (ფრთვს) როს დაინგრევა!..

**ქეთ.** (თავშეკავებუდი) ეგ წყაროს წყალია?..

**მის.** დიახ..

**ქეთ.** მწყურიან... გთხოვ დამალევირო..

**მის.** ინებეთ, შენი კირიმე.. (შიაწადებს)

მიირთვიო..

**ქეთ.** მეორედ, რომ წასვლა დაგკირდეს?..

**მის.** თქვენთვის..

**მაია** დროა..

**ქეთ.** (რ დაწევს წყაფს, დაუბრუნებს ლიტრას) დროა, დრო.. დიახ, დროა.. აბა, გავვიძებს, მიხა, მამა ილიასთანა.. (გადიან)

რ

უსიტყვოდ გაიფიან სოფლისაკენ: ტატე ღვედ-აკიდებუდი და რამდენიმე მეხრე მხარზედ უდელებ-გადებუდნი, შემდეგ გაისმის სლამურის ხმა.



VI

**მაია, ქეთო**

**მაია** მაშ, სალამურის ხმა ნიშანია ხელ-  
 შეუშლელობისა. მეც მალე მაცნობე ნიშანი  
 ზარისათვის, რომ ზარის ჩამოკვრას მოჰყვეს  
 ნგრევა ამა კედლისა.

**ქეთ.** რომ იცოდე, ჩემო გამრდელო, რო-  
 გორ მოველი მაგ წუთსა..

**მაია** ფრთხილად იყავი, ჩემო გარდილო!  
 გულის ხმას არ გაჰყვე, მაგით ნიშანი არ და-  
 აგვიანო..

**ქეთ.** გასწი, ნუ გეშინიან.. (მაია გაჯა სსსა-  
 ფლასსა და კედლის შუა) როდის, როდის დაინ-  
 გრევა ჩვენ შორის ეს კედელი და მომესმის  
 მიხასაგან გაუბედავი სიყვარული.. როდის  
 ჩავეკრობით ერთმანეთსა, ვით ბუნების შეილნი..  
 (სალამურის ხმა შესწედება. გაკვირვებული აქედ-  
 იქით იუჟრება) ეს ნიშანია... ფეხის თაჩუნია..

VII

**იგივე, მინა, გაუტანია, ჯარის კაცნი**

**მინა** (გამოეჭანება ქეთოსაკენ) აი, ბატონო,  
 ეს ის ქალია, რომელიც ჩვენ გვაორგულე-  
 და..

**ქეთ.** (გაუსხლტება მინას, ხელიდან. გაუდგება  
 განზე და დაუმიზნებს რეჟალეკს) შორს! არ  
 მომეკარო.. მაშ, ეგ, შენა ხარ ერთგული  
 ბრმა ბატონისა? აი, შენი ჯილდო.. (ესვრის)

**მინა** (უცემ) აკი, მაინც, გავხდი წერა..  
დავკარგე ნინო..

**გაუტ.** დაჰყარეთ იარაღი.. (ჯარის კაცს) მოე-  
შხადე, არ მორჩილდება..

**ქეთ.** (ჩუმად) ეგ არის შენი სიყვარული და  
ჩემი ძმის მეგობრობა?...

**გაუტ.** (ჯარის კაცს) ესროლე!..

**ქეთ.** (დაუმიზნებს, მაგრამ ვერ მოასწრებს  
და თვით დაეცემა ჯარის კაცისაგან დაჭრილი) მაშ  
შენც.. (მოისმის ზარის ხმა და მას მოჭეკება ნაღ-  
მის გრგვინვა)

**სურათი:** კედელი გაიწვევა და კარგა მორდი-  
ლად დაიბრუნა. სინათლე. მზე გამოჩნდება, ხოლო  
დასაფლეთისაკენ გადახრილ. ერთს მხარეს გამოჩნდე-  
ბა საბატონო სასახლე, მეორე მხარეს ეკლესია.  
ამა მეორე მხრიდან გადმოჩნხუხუხდება ანკარა წყალი  
და წავა ნარუფზე. გაუტანია და ჯარის კაცნი გაშ-  
ტებულები უეურებენ.

**ქეთ.** (წამოიწვეს ზეუსის შემდეგ) იბრწყინე,  
მზეო, კაცობრიობისა...


### VIII

ივინივე, მინა, გლეხი

**მინ.** (მოჭყავს ფეხ - მოგლეჯილი გლეხსა)  
ღმერთო გამჩენო! ნუ ჩააქრობ ჩემს მზესა,  
ქეთევანსა..

**ქეთ.** მინა!.. (წამოიწვეს)

**მინ.** (ჩაკეცებიან) ჩემო სინათლე!..



**გაუტ.** (გამოეკეკვა) მე რაღას გავშტერებულვარ?., (ჯანის კაცთ) გარს შემოერთყით...

IX

იგინივე, დავითი, გოგია, მარიაში და სხვა დიდ-პატარანი

**დავ.** (შემოსულისთანავე) მე სად ველოდი და, აი, სადა ყოფილან—გოგია! შენ გვერდით..

**მარ.** (სოფლის მხრიდან შემოვარდება ხელში ქაღალდით. გაუტანია და დავითი ვერც-კი მასწერბენ დაზიარებას სპობლფელად) შესდექით!.. ნუ გინდათ უბრალო სისხლი.., (ამ დროს მათმის გაზარულ ზარის ხშირი ხმა) თქვენა, ყმაწვილო გაუტანია?!.. აი, ბრძანება...

**გაუტ.** (გამოეჭიმება და ჩამოართმევს ქაღალდს) დიახ, მე განლავართ...

**ქეთ.** მიხა..

**მიხ.** ქეთევან.

**გაუტ.** (კითხულობს გაცემით) ეს ხომ..

**მარ.** (გაქანება ქეთევანისკენ) მსხვერპლი?!..

**დავ.** (რა იცნობს დის ხმას) დაო, ქეთევან!.. (წამოსწევს და უსინჯავს ჭრილობას) ჩქარა ექიმი..

**მარ.** (ქეთოს წინ მუხლზე დაეცემა) შვილო ქეთევან!.. ჩემი მსხვერპლი ხარ..

**გაუტ.** (გაცემული) როგორ! ქეთევანი?!..

**დავ.** შენი სატრფო!.. ბრმაო ბრძანები-სავ! ხედავ, ვის დაუმოკლე დღენი?.. (წამოსწევს) მაგრამ მე გადავიხდი...

**ქეთ.** (დავითს შეაჩერებს) არა, ძმაო!.. მე და მისა ერთად დაგვმარხე..

**მის.** (გადაესვენება) ჩემო სინათლევ..

**ქეთ.** (ერთმანეთზე გადასვენებულნი) ... ნიშნად სიყვარულისა...

**დავ.** (თავ ჩაქინდრული) მაგით გაიდება ხილი?!.. ჩემო დაიკო! ხილი ხარ კაცობრიობისა...

## X

ივანიკე, უსინათლო, ქაქალა, პეტრია, ტატე

**უსინ.** (შიგნიდან) მიმიყვა, შვილო, სადაც გაირღვა კედელი, ჩვენ წინ აყუდებული...

**ქაქ.** (გამოჩნდება. ანიშნებს) აქედ, პაპია, აქედ..

**უსინ.** (ამ დროს იგივე ზარის ხმა, მხდლად მძიმე გლგოვის ნიშნად) ვგრძნობ, შვილო, ვით ბნელ ოთახში მზის სხივსა შემოჭვრეტილსა.. (ზარის ხმაზე თავს დაიქნევს) ხოლო მესმის სოფლის ზარის ხმა, ვითა გლოვისა...

**პეტ.** (ამ დროს შემოდის, მწუნარებით) ნალმმა მოიყოლა მამა ილია..

**უსინ.** გლოვა, გლოვა ხალხის ზარისა... (მუხლის მოყრით) მამა იყო ამა სოფლისა..

**მაია** (მუხლ მოყრილი) წმინდათა წმინდაო... (რა შეაჩნევს სურათს, გაშტერდება)

(სურათი თანდათან ირკვევს: კედლის უკან კედლისი გუმბათზე წმინდა ღრუბელზე გამოჩნდებიან: ქეთო და მისა მუხლ-მოდრეკილნი, ხდლად

მათ უკან ზეზე იღია, რამელიც ერთის ხელით  
უთითებს მზეზე, ხელთ მეორეთი მათ ღოცავს)

**მარ.** (თავ-დახრილი) მომიტევენ..

**მაია** აგერ, სული მისი.. (ქეთოსა და მიხა-  
ზე უხვეებს) მიაქვს ამათი სული, რომ უზენა-  
ესმა დაავიროვნოს..

**უსინ.** ... მათი გულისთქმა იქ ზენას ამც-  
ნოს... ფარდა

ხელ-ხელა ეშვება

**ს. გლახაშვილი**

1909 წ.





1910 წლის 2 იანვრიდან გამოდის  
ახალი კვირეული სამხატვრო-სალიტერატუ-  
რო სათეატრო სურათებანი ჟურნალი

## თეატრი და ცხოვრება

ერთი წლით დამატებინად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ.  
თითო ნომერი 10 კ. ფულის გადახდა შეიძლება ნა-  
წილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 2 მან., და-  
ნარჩენიც ორ ნაწილად.

**იუმორ. განყოფილებით და კარიკატურებით**

ჟურნალის მიზანია სათეატრო კითხვების  
გარკვევა - განხილვა, თეატრის წარსული და  
აწმყო, ისტორია დრამისა და სცენისა. დაი-  
ბეჭდება სათეატრო წერილები, კრიტიკუ-  
ლი განხილვანი, ისტორიულ-ბიოგრაფიული  
ცნობანი, მოთხრობანი, ლექსები, იუმორის-  
ტული წერილები, სურათები სცენის მოღვა-  
წეთა, ხელოვანთა, მსახიობთა, დრამატურგთა.

**უოველ ნომერში დაიბეჭდება სარეპერტუ-  
არო პიესა, ორგინალური თუ ნათარგმნი.**

ჟურნალში ფართე ადგილი დაეთმობა ევ-  
როპისა და რუსეთის სათეატრო ცხოვრების

II

მიმდინარეობას, აგრეთვე ჩვენ მეზობელთა —  
სომეხთა, თათართა, ოსთა და სხ. სცენის აღორ-  
ძინებისა და დრამატიულ ლიტერატურის შესა-  
ხებ წერილებს, — უმთავრეს ყურადღებას-კი  
მიაქცევს სამშობლო თეატრის მდგომარეობას.

ყურნაღს საგანგებო თანამშრომელ-კორესპონდენ-  
ტები ჰყავს რუსეთსა და სსზღვარ-გარედა.

**ყურნალში მონაწილეობას მიიღებენ**  
**ცნობილი მწერლები და მხატვრები.**

კლიშეები მზად. ქარ. ამხ. ცინკოგრაფიაში.

ხელის მოწერა მიიღება დრ. საზ. კანტორაში ი. იმე-  
დაშვილთან 10—2 საათამდე; 5—8 ს.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Контора Груз. Драм.  
О-ва. Иос. Зах. Имедашвили.

---

**რედაქ.-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი**

---



